ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა
Akhali Taoba
akhalitaoba.ge

## თურქეთში ქართველი „კანონიერი ქურდის“ მკვლელობისთვის ერთ-ერთი დაკავებული ქართველია

გვ.5



ოთხშაბათი, 18 იანვარი, 2023 №12 (9048) ფასი: 80 თეთრი

# „ხელისუფლება სააკაშვილის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გასაშვებად ემზადება“



გვ.3

სოსო ცინცაძე: „2024 წლის არჩევნებზე 800 ათასს კი არა, 200 ათას ხმას ვერ მიიღებენ“



## „რუსებით გაივსო ქვეყანა. ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, უნდა ასე ცხოვრება?“



გვ.2

ნიკა ჩიტაძე: „ნაციონალებში ახლა არჩევნების ჩატარება უადგილოა“

ოთო აბესაძე: „უძრავ ქონებაზე ფასები საგრძნობლად მოიმატებს“



გვ.3

## „რუსებს საქართველოში ეკონომიკური საქმიანობა „გაპრავებული“ აქვთ“

## „ჩინეთი რუსეთის მოკავშირე არ არის“



გვ.4

„დასავლეთი შეთანხმებულია, რომ პუტინმა არ უნდა გაიმარჯვოს“

## ირაკლი ღარიბაშვილი დავოსის ეკონომიკურ ფორუმში მონაწილეობს



გვ.2

4 პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი კომპანია Stena Line-ს აღმასრულებელ დირექტორს შეხვდა

5 ვილი პაჭკორია სააკაშვილზე — „დღითიდღე შესაძლებელია, ველოდოთ დამძიმებას“

5 მოსამართლე მარიამ ჯიშკარიანს — „უხეშად მიმართეთ მხარეს. ამას არ გააპატიებთ“

6 პრინც ჰარის მეუღლე ჯადოსნური სელაპის წყალობით დაფეხმძიმდა

# „რუსებით გაივსო ქვეყანა. ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, უნდა ასე ცხოვრება?“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ნიკა ჩიტაძე პასუხობს.



## ნიკა ჩიტაძე: „ნაციონალებში ახლა არჩევნების ჩატარება უადგილოა“

***– ბატონო ნიკა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? „ხალხის ძალისგან“ ახალი ტიპის განცხადებებს ვისმენთ, რომ სააკაშვილის პარტნიორებს გეგმა ბე რჩება, მოიშორონ „ოქროს მოწმე“ და სააკაშვილის სიკვდილი ხელისუფლებას დააბრალონ, ამით კი ქვეყანაში არეულობა მოაწყონ. ეს განცხადება ივანიშვილის დაკვეთით არის გაკეთებული? ან ვინ იგულისხმება სააკაშვილის პარტნიორებში? რას ემსახურება ეს განცხადებები?***

– ეს არის ანტისახელმწიფოებრივი განცხადება. პირველ რიგში, მე არ გამოვრიცხავ, რომ იგეგმებოდეს სააკაშვილის ლიკვიდაცია ან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის სპეციალურად გაუარესება, რათა ეს ყველაფერი დაჰბრალდეს დასავლეთს და შემდგომში საქართველოში გაიზარდოს ანტიდასავლური განწყობა, ვითომ დასავლეთმა მოიცილა სააკაშვილი, რადგან მან ბევრი რაღაც იცის. ეს ე.წ. ხალხის ძალა თითქმის ყოველდღე აკეთებს განცხადებებს. უკვე ჯერი ქართველ საზოგადოებაზეა, დაიჯერებენ თუ არა. სამწუხაროდ, ნაწილს სჯერა. პირადად მომისმენია ადამიანებისგან, რომ სჯერა, აი, ნახეთ, როგორ ვაჟკაცურ განცხადებებს აკეთებენ.

***– ესეც რუსული გეგმის ნაწილია?***

– კი ბატონო. ეს შესაძლოა ივანიშვილის მიერ შედგენილი გეგმაა. „ქართული ოცნება“ აცხადებს, რომ ის არის პროდასავლური ძალა, რათა არ დაკარგონ მხარდაჭერა დასავლეთიდან, ვითომ „ქართულ ოცნებას“ გამოეყო ერთი ჯგუფი, შექმნეს პოლიტიკური დაჯგუფება „ხალხის ძალა“.

***– ყველამ იცის, რომ ეს „ქართული ოცნების“ დანამატია.***

– კი ბატონო, მით უმეტეს, „ქართული ოცნება“ სწორედ „ხალხის ძალასთან“ ერთად ინარჩუნებს საპარლამენტო უმრავლესობას. თუ „ხალხის ძალა“ გამოაცხადებს, რომ ის არის ოპოზიციური პარტია, მაშინ „ქართული ოცნება“ პარლამენტში კარგავს უმრავლესობას.

***– ბიძინა ივანიშვილის ნააზრევს ახმოვანებს „ხალხის ძალა“?***

– დიახ, ასეა. ივანიშვილი აძლევს სიგნალს და ვითომ „ხალხის ძალა“ ლაპარაკობს და არა „ქართული ოცნება“, რადგან „ქართული ოცნების“ პრორუსული განცხადებები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლს, სადაც განსაზღვრულია ჩვენი ქვეყნის პროდასავლური საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია. ამიტომ „ხალხის ძალა“ აქტიურად მუშაობს იმაზე, რომ საქართველოში გაიზარდოს ანტიდასავლური განწყობები. დღეს ჯერი ქართველ საზოგადოებაზეა. სამწუხაროდ, ამ პრობლემების საფუძველი არის ქართველი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც იტანს ამ ყველაფერს და ჩუმად არის. ივანიშვილი მათთვის კერპია. ბევრი იტანს ამ ხელისუფლებას, ბევრი აცხადებს, არც ეს ხელისუფლება მინდა და არც ეს ოპოზიციაო, ერთ ქვაბში ხარშავს პროდასავლურ ოპოზიციასა და „ქართულ ოცნებას“, ბევრიც თავისი პირადი კეთილდღეობისთვის უჭერს მხარს „ქართულ ოცნებას“.

***– ბატონო ნიკა, მმართველ გუნდში ცვლილებებზე საუბრობენ. ივანიშვილი გეგმავს, რომ გადაახალისოს გუნდი. განსაკუთრებით წამყვანი სახეების ცვლილებაზეა საუბარი. ზოგიერთს ძალიან შემოსწყრაო. სჭირდება დღეს ივანიშვილს რაიმე ჩარევები და ცვლილებები?***

– თუ მას სურს პრორუსული პოლიტიკის გატარება, მე ასე მგონია, რომ კობახიძე ყველაზე მისაღები ვარიანტია.

კობახიძე გამოკვეთილი პრორუსული პოლიტიკის მატარებელია. თუ კობახიძე შეიცვალა, მე ამას მხოლოდ და მხოლოდ მივესალმები. ეს ივანიშვილის გადასაწყვეტია, თუმცა კობახიძისნაირი ადამიანები მოსაშორებელი არიან ქართული პოლიტიკიდან. სასურველია, შეიცვალონ ოდიოზური ფიგურები.

ახლა ივანიშვილი თამაშობს, რომელი გადაწონის, დასავლეთი თუ რუსეთი. ამიტომაც გაანაწილა ასე, „ქართული ოცნება“ – პროევროპული და „ხალხის ძალა“ – პრორუსული. ასევე მნიშვნელოვანია პრეზიდენტის ფაქტორი. მართალია, სალომე ზურაბიშვილი აკრიტიკებს „ქართულ ოცნებას“, მაგრამ არ აკრიტიკებს ივანიშვილს, რადგან მის წინაშე დავალებულად თვლის თავს. საზოგადოება რომ ითმენს და იტანს ამ ყველაფერს, დიდწილად სწორედ მათ ბრალეულობას ვხედავ. დაბალი ხელფასები, ბანკის ვალები, უმძიმესი სოციალური მდგომარეობა და ივანიშვილი მაინც მათი კერპია.

***– ოპოზიციაც არის ალბათ ამაში დამნაშავე, რომ არა მათი ძალიან დაბალი რეიტინგი, უნდობლობა საზოგადოების მხრიდან, ეს სიტუაცია არ იქნებოდა.***

– გეთანხმებით, ოპოზიციის ბრალეულობაც არის ამ ყველაფერში, თუმცა სერიოზულ პროპაგანდას ეწევა „ოცნება“, ჩვენ თუ არ ვიქენით, მობრუნდებიან ნაციონალები, საქართველო ომში ჩაერთვებაო და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი კარგად მუშაობს, ანუ ქართველი ხალხის დაბალ პოლიტიკურ განვითარებასთან გვაქვს საქმე. სხვანაირად ეს არ იმუშავებდა. თუ არ მოგწონს ეს ყოფა, უნდა შეცვალო, ანუ პასუხისმგებლობა მაინც საზოგადოებაზეა. რუსებით გაივსო ქვეყანა, ეკონომიკა მთლიანად რუსეთზეა ჩამოკიდებული. ნომერ მეორე სავაჭრო პარტნიორია დღეს რუსეთი. სიტუაცია მძიმეა და საზოგადოებამ განსაჯოს, უნდათ თუ არა ასე ცხოვრება.

***– ასევე ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე ამბებზეც უნდა გკითხოთ. ამ არჩევნების საკითხმა და შიდადაპირისპირებამ ძალიან დააზარალა პარტიაო. თქვენ როგორ აფასებთ იქ არსებულ სიტუაციას, რამდენად სწორად მიმდინარეობს პროცესები?***

– პროცესები სწორად ნამდვილად არ მიმდინარეობს. მსგავსი სახის დაპირისპირებები სხვადასხვა ქვეყნის წამყვან პარტიებშიც მომხდარა. საქმე ის არის, რომ სხვაგან ამ ყველაფერს უფრო ცივილიზებული ფორმა გააჩნია. კი, უნდა იყოს კონკურენცია, მაგრამ, სამწუხარო ის არის, რომ შავი პიარის ელემენტები ჭარბობს წინასაარჩევნო პროცესში. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია უკვე არჩევნების შემდგომი პერიოდი, რა პროცესები მოჰყვება ამას.

***– ბევრი ფიქრობს, რომ დამარცხებული ჯგუფი აუცილებლად გამოეყოფა პარტიას. ასე იქნება?***

– დიახ, აი, ეგ არის მთავარი პრობლემა. თუ დამარცხებული მიულოცავს გამარჯვებულს, ეს მისასალმებელი იქნება. თუ ასე არ იქნება, მაშინ ეს გამოიწვევს ოპოზიციის კიდევ უფრო დასუსტებასა და ანტიდასავლური ძალების გაძლიერებას. სრულიად უადგილო იყო ახლა ეს არჩევნები, რომელიც ტარდება ნაცმოძრაობაში, მაგრამ მე მათ ნაცვლად ვერ ვისაუბრებ და ვერ მივიღებ გადაწყვეტილებას. ძალიან სამწუხაროა ის, რაც დღეს მათ თავს ხდება.

# ირაკლი ღარიბაშვილი დავოსის ეკონომიკურ ფორუმში მონაწილეობს



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში მონაწილეობს. ეკონომიკური ფორუმის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ფორუმის დამფუძნებელმა კლაუს შვაბმა, შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტმა ალან ბერსეტმა, უკრაინის პირველმა ლედიმ ოლენა ზელენსკამ, ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ვიცეპრემიერმა ლუი ჰიმ.

• • •

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი კატარის საინვესტიციო საზოგადოების აღმასრულებელ დირექტორს მანსურ ბინ იბრაჰიმ ალ მაჰმუდს შეხვდა.

დავოსში გამართულ შეხვედრაზე ენერგეტიკული და ინფრასტრუქტურული პროექტების, ასევე სასტუმროებისა და კურორტების განვითარების მიმართულებით თანამშრომლობის პერსპექტივებზე იმსჯელეს.

პრემიერ-მინისტრმა და დელეგაციის წევრებმა ჰოლდინგის ხელმძღვანელს საქართველოს მდიდარი რესურსებისა და დიდი პოტენციალის შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია.

კატარის საინვესტიციო საზოგადოება კატარის სახელმწიფო ჰოლდინგია, რომელიც შიდა და უცხოურ ინვესტიციებზეა სპეციალიზებული. ჰოლდინგი 2005 წელს დაარსდა აქტივების დივერსიფიკაციის გზით ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერების მიზნით. 2021 წელს კატარის საინვესტიციო საზოგადოებას დაახლოებით 300 მილიარდი დოლარის აქტივები ჰქონდა. ჰოლდინგის წარმომადგენლები გასულ წელს საქართველოში იმყოფებოდნენ.

ღარიბაშვილი სასურსათო პროდუქციით საცალო ვაჭრობისა და ჰიპერმარკეტების ქსელის მფლობელი კომპანიის Majid Al Futtaim-ის აღმასრულებელ დირექტორს ჰანი ვეისს შეხვდა.

განსახილველ საკითხებს შორის იყო საქართველოში ჰოლდინგის პორტფელის გაზრდა და არსებული ინვესტიციების დივერსიფიკაცია.

შეხვედრაზე სასტუმროებისა და უძრავი ქონების მიმართულებით ინვესტირების შესაძლებლობებზე იმსჯელეს.

პრემიერ-მინისტრის თქმით, Majid Al Futtaim Group-ი საქართველოში წარმატებით ოპერირებს და, არსებული პორტფელის გაზრდის შემთხვევაში, ჰოლდინგს საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა ექნება.

Majid Al Futtaim-ი არაბთა გაერთიანებული საამიროების ჰოლდინგია, რომელიც ფლობს და მართავს სავაჭრო ცენტრებსა და დასასვენებელ ობიექტებს ახლო აღმოსავლეთის, აფრიკისა და აზიის 17 ქვეყანაში. ჰოლდინგში 43.000 ადამიანია დასაქმებული, მისი შემოსავალი კი 8.8 მილიარდ დოლარს შეადგენს. საქართველოში Majid Al Futtaim-ი ჰიპერმარკეტ „კარფურის“ მფლობელია.

# სანდრო რაქვიაშვილი: „ნაციონალური მოძრაობა დე ფაქტოდ დაშლილია“

– პარტია ნაციონალური მოძრაობა დე ფაქტოდ დაშლილია. ბრალდებები, რომლებსაც მხარეები ერთმანეთს უყენებენ, იმავე ხარისხისაა, რასაც ისინი „ქართული ოცნების“ მიმართ ამბობენ, – ამის შესახებ ჟურნალისტებს „გირჩის“ დეპუტატმა სანდრო რაქვიაშვილმა განუცხადა.

რაქვიაშვილის შეფასებით, ნაციონალურ მოძრაობაში არსებულმა დაპირისპირებამ სერიოზული მასშტაბები შეიძინა და, საკვირველი ის არის, ხალხი, რომელსაც ერთმანეთის მიმართ ასეთი დამოკიდებულება აქვს, აქამდე ერთ პარტიაში როგორ არის.

– საკითხი ის არის, თუ როგორ გაფორმდება ეს (დაშლა) – გაფორმდება იმგვარად, რომ პარტია მართლა დაიშლება და პოლიტიკაში სხვადასხვა პარტია გაჩნდება თუ პარტიას ვიღაც დატოვებს. შიდაარჩევნების შემდეგ პასუხი ამ კითხვას გაეცემა. კონკრეტული მხარე რას აკეთებს და ვის ხვდება, ეს უფრო შიდარესურსების გადანაწილებას უკავშირდება.

არ მჯერა, რომ ვანო მერაბიშვილი აქამდე ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკაში ჩართული არ იყო. არ მჯერა, რასაც ნიკა მელია ამბობს, რომ მერაბიშვილი ახლა ბრუნდება. მგონია, რომ ნაციონალური მოძრაობის საქმიანობაში მერაბიშვილი სულ ჩართული იყო. არის რეგიონები, სადაც პერსონალურად მას დიდი მხარდაჭერა აქვს და ნაციონალური მოძრაობა ხმებს ამ მხარდაჭერის ხარჯზე იღებდა. არა მგონია, რომ ახლა რაღაც ახალი ხდება – უბრალოდ, მერაბიშვილი ამას ღიად აკეთებს, – განაცხადა სანდრო რაქვიაშვილმა.



ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ხელისუფლება სააკაშვილის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გასაშვებად ემზადება“

## სოსო ცინცაძე: „2024 წლის არჩევნებზე 800 ათასს კი არა, 200 ათას ხმას ვერ მიიღებენ“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო სოსო, „ხალხის ძალის“ განცხადებას სააკაშვილის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით მისი პარტნიორების მიერ არაერთგვაროვანი გამოხმაურებები მოჰყვა. თქვენ როგორ ხსნით ამ განცხადებას?***

– მხოლოდ ორი ვარიანტია, მესამე არ არსებობს: ერთი, „ხალხის ძალა“ ან ძალიან პრიმიტიულია და პრიმიტიულად აზროვნებს, ან გამოცდილების მქონე პოლიტიკოსობაზე აქვთ პრეტენზია.

თუ პრიმიტივიზმთან გვაქვს საქმე, მაშინ, ეს ყველაფერი ძალიან სასაცილოდ გამოიყურება. ვინ უნდა დააჯერონ, რომ ევროპა (ძირითადად აქცენტი ამერიკაზე კეთდება), ამერიკა იმაზე მუშაობენ, რომ „ვივამედი“ ააფეთქონ ან ექთანი მოისყიდონ და სააკაშვილი მოკლან. ეს ხომ სასაცილოა. ამას ვინ დაიჯერებს. ბავშვსაც კი ვერ დააჯერებენ, რომ ასეთი რამ შესაძლებელია.

ბოლოს და ბოლოს, ვინც არ უნდა იყოს, პატიმრის სიცოცხლის გარანტორი არის სახელმწიფო. მან უნდა უზრუნველყოს პატიმრის ჯანმრთელობაც და სიცოცხლეც. ეს არის როგორც ორჯერ ორი ოთხი. სააკაშვილი არ არის თავისუფალი, თავისუფლად არ გადაადგილდება, რომ, მაგალითად, ვიღაც სადარბაზოსთან ჩაუსაფრდეს და ტყვია ესროლოს. ეს გამორიცხულია. ამიტომ მთელი პასუხისმგებლობა სახელმწიფოზე გადადის.

რაც შეეხება მეორე ვარიანტს: ჭადრაკის დაფაზე, როგორც ჩანს, ცხენის სვლის დრო დადგა. ეს ამ ამბის ლოგიკური დასასრული უნდა იყოს. ამ სცენარის განხორციელებაში „ქართულ ოცნებას“ „ხალხის ძალა“ ეხმარება. ეს არ არის გასაკვირი. სწორედ ასეთი სათადარიგო საქმეებისთვის არსებობს ალბათ ეს ძალა.

***– რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ იმდენჯერ თქვა „ოცნებამ“, სააკაშვილი დამნაშავეაო, ასე უბრალოდ ვერ გაათავისუფლებენ. ასევე იმდენჯერ თქვა, რომ სიმულანტობს და ავადმყოფობებს იგონებს, ვერც ამ შემთხვევაში ვერ გაუშვებენ სამკურნალოდ საზღვარგარეთ. მათაც ჰყავთ ამომრჩეველი და თავიანთ ამომრჩევლებს უფრთხილდებიან.

***– გამოდის, „ხალხის ძალა“ ამ გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარება?***

– დიახ, თუ არ გაუშვებთ საზღვარგარეთ, მას მოკლავენ და ამიტომ აუცილებელია ზომების მიღება და საზღვარგარეთ გაგზავნაო. თან, „ხალხის ძალის“ თქმით, ეს ყველაფერი კეთდება იმიტომ, რომ „ოქროს მოწმე“



მოიშორონ, ქვეყანაში დაიწყოს არეულობა. ხელისუფლება კი ვალდებულია, თავიდან აიცილოს ნებისმიერი არეულობა, თითქოს მათ ხელისუფლება მიჰყავთ ამ გადაწყვეტილებამდე. ეს იკითხება ამ განცხადებაში.

ცხადია, ეს არ არის კლასიკური, ელეგანტური დიპლომატიური ნაბიჯი მათი მხრიდან, მაგრამ ქართული რეალობისთვის მისაღებია. როგორც ჩანს, ხელისუფლება ემზადება მიხეილ სააკაშვილის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გასაშვებად.

სასამართლოს შეუძლია, სრულიად თავისუფლად მიიღოს ეს გადაწყვეტილება. მოსამართლე იტყვის, რომ მისთვის დამაჯერებელი იყო ამერიკელი ექსპერტების დასკვნები. ასევე დამაჯერებელი იყო მარიამ ჯიშკარიანის დასკვნები, რომ დემენცია შედის იმ ავადმყოფობათა ჩამონათვალში, რომლებიც ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებულებით სასჯელის მოხდისგან ათავისუფლებს პირს.

ერთი სიტყვით, თუ ხელისუფლებაში ეს გადაწყვეტილება იქნება მიღებული, მაშინ მოსამართლეს თავისი გადაწყვეტილების დასაბუთება ნამდვილად არ გაუჭირდება, მეტიც, იტყვიან, სასამართლო როგორი დამოუკიდებელია, როგორი მიუკერძოებელია მოსამართლე, რომელმაც ასეთი გადაწყვეტილება მიიღო.

***– ნაციონალურ მოძრაობაში დაგეგმილმა არჩევნებმა შეიძლება რაიმე გავლენა იქონიოს ამ საქმეზე?***

– არავითარი, ნაციონალურ მოძრაობაში დაგეგმილი არჩევნები არის ნაციონალური მოძრაობის ეპიტაფია.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ამ არჩევნებიდან მივიღებთ ორ დასუსტებულ პარტიას და მეტს არაფერს. ეს სცენარი ხომ უკვე ნანახი გვაქვს და რა მიიღო აქედან ქვეყანამ? – არაფერი.

ძლიერი, დემოკრატიული სახელმწიფო ძლიერ ოპოზიციურ პარტიებსაც ნიშნავს, მაგრამ – ჩვენთან არა! როგორც ჩანს, ქართულად, მამაპაპურად უნდა მოხდეს ყველაფერი. წარსულს ჩაბარდება იმაზე საუბარი, რომ ხელისუფლებაში ნამყოფი პარტია კი არ მოკვდა, ოპოზიციაში გადავიდა და გაძლიერდა. ამ არჩევნების მერე ამაზე საუბარი სასაცილო იქნება.

***– ამომრჩეველი სად წავა? დაახლოებით 800 ათას ამომრჩეველზეა საუბარი.***

– არსად, გაბრაზებული სახლში დარჩება. ანტურაჟისთვის „ოცნებამ“ შეიძლება ერთი-ორი კაცი პარლამენტში შეიყვანოს. 2024 წლის არჩევნებზე 800 ათას ხმას კი არა, 200 ათასს ვერ მიიღებენ. ამით დამთავრდება ყველაფერი.

ნონა ცაბაძე

# „რუსებს საქართველოში ეკონომიკური საქმიანობა „გაპრავებული“ აქვთ“

## ოთო აბესაძე: „უძრავ ქონებაზე ფასები საგრძნობლად მოიმატებს“

„ახალი თაობის“ კითხვებს ეკონომიკის ექსპერტი ოთო აბესაძე პასუხობს.

***– ოთო, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის ეკონომიკურ საკითხებს? ვისმენთ შეფასებებს, რომ გაზაფხულიდან უძრავი ქონება კიდევ 30%-ით გაძვირდება. რა განაპირობებს ფასების ასეთ ზრდას? ძირითადად რუსების მასობრივ შემოდინებასა და მათ მიერ უძრავი ქონების შეძენას ასახელებენ. თქვენ რას იტყვით?***

– უძრავი ქონების ფასის მომატება განპირობებულია ოთხი ფაქტორით. პირველი – ეს არის მისი წარმოების ხარჯების ზრდა, საშენი მასალა, არმატურა, ცემენტი. ყველაფერი გაძვირებულია დაახლოებით 30-40%-ით. დაქირავებული ადამიანების ანაზღაურება, რომლებიც მუშაობენ მშენებლობაზე, მათი ხელფასებია გაზრდილი საშუალოდ 30-40%-ით. მესამეა მოთხოვნა და მეოთხე – უკვე რუსული ფაქტორი, რომელმაც თამასა გაზარდა და მთავარი განმაპირობებელია. ამ ოთხმა ფაქტორმა გამოიწვია ფასების ზრდა.

***– საშუალოდ რა ფასი გახდება ერთი კვადრატული მეტრი და როდიდან მოიმატებს ფასი?***

– გაძვირება დაიწყება მარტ-აპრილიდან და, ვინც უკვე ახალი რეგულაციებითა და ტარიფებით დაიწყო მშენებლობა, საშუალოდ ერთი კვადრატულის ფასი თბილისში იქნება 1.300-1.400 დოლარი.

***– რუსული ფაქტორი ვახსენეთ და რამდენად სახიფათოა ეს საკითხი? ამდენი რუსი სახლდება ჩვენთან, ყიდულობენ უძრავ ქონებას.***

– სახლდება – არა, მათ უფრო სხვა მიზანი აქვთ. ქონების შეძენის შემთხვევაში, მათ ეზრდებათ ეკონომიკური ოპერირების საშუალება. ჟარგონი რომ გამოვიყენოთ, „გაპრავებული“ აქვთ საქართველოში ეკონომიკური საქმიანობა და ამ უძრავი ქონებით იჭერენ ორ



კურდღელს. პირველი – ყიდულობენ ქონებას და მეორე, ახდენენ ეკონომიკურ საქმიანობას. ეს არის აქ მთავარი დანიშნულების წერტილი და არა – უძრავი ქონების შეძენა.

***– ქართული ეკონომიკა სულ უფრო და უფრო ჩამოეკიდა რუსულ ეკონომიკას. ეს რამდენად სახიფათო ტენდენციაა?***

– რა თქმა უნდა, ასეა. ქართული ეკონომიკის 65%-ზე მეტი დაკავშირებულია რუსეთთან და არც კი ცდილობს ხელისუფლება, რომ წაახალისოს ბიზნესი, გახსნან ახალი ფანჯრები ევროპაში, აზიაში, შტატებში. პირიქით, მხოლოდ ჩრდილოელ მეზობელთან დაახლოებას ცდილობს. სამწუხაროდ, ეს უკვე ჩვეულებრივი ამბავია საქართველოში.

***– უძრავი ქონების გაძვირებას სხვა სფეროებშიც თუ მოჰყვება ფასების ზრდა?***

– ფასები ყველგან მოიმატებს. ფასების ზრდა იქნება კომუნალურ სექტორებში. ეს ყველაფერი საბოლოოდ შეკრავს პირს იმ კუთხით, რომ ინფლაცია გვაქვს ქვეყანაში და ინფლაცია თავისთავად იწვევს ფასების ზრდას. აქედან გამომდინარე, არაფერი განსაკუთრებული და ახალი არ ხდება. ინფლაციას სანამ არ მოვერევით, მანამდე ვიქნებით ამ რეჟიმზე.

***– ჩვენს პრემიერს რომ ვუსმინოთ, ვიფიქრებთ, რომ სრულიად სხვა ქვეყანაში ვცხოვრობთ. აბსოლუტურად განსხვავდება მისი შეფასებები რეალურისგან. რას ელით, როგორი 2023 წელი გვექნება ეკონომიკური თვალსაზრისით?***

– ეკონომიკას აქვს დროითი ეფექტი. ეკონომიკა ახალ წლებზე არ მუშაობს. ჩვენ რომ წელი დაგვეწყო პოზიტიურად ან რომ პოზიტიური მოლოდინები გვქონდეს, ამისთვის რეფორმა უნდა ჩატარდეს 5, 6 ან 8 თვით ადრე. გახსენდებათ რაიმე ტიპის საგადასახადო ან ეკონომიკური რეფორმა?! მე არ მახსენდება. შესაბამისად, რეფორმა არ გატარებულა და რას უნდა ველოდოთ პოზიტიურს. საგადასახადო კუთხით არანაირი რეფორმა არ გატარებულა. მონეტარული პოლიტიკის კუთხით რეფორმა არ გატარებულა, არც ეკონომიკური პოლიტიკის კუთხით და რის საფუძველზე უნდა მქონდეს პოზიტიური მოლოდინი?! ანუ ციდან დაგვეცემა ფული?! ეგეთების არ მჯერა. ჩვენს მთავრობას ეიმედება რუსული კაპიტალი, სამწუხაროდ. რუსული კაპიტალი კი ეკონომიკურ მდგომარეობასა და ამინდს ვერ შექმნის ქვეყანაში. მათი შემოტანილი ეკონომიკა და აქტივები საქართველოში ირეცხება და ბრუნდება ისევ უკან. ეს არ არის ინვესტირება. ეს არის ფულის გატანის, ტრანსფერის საშუალება.

***– ინფლაციის დონე სერიოზულად დაიკლებს 2023 წელსო. თქვენც ასე ფიქრობთ?***

– მონეტარული პოლიტიკის კუთხით რაიმე რეფორმა გატარდა?! მე არ მახსენდება. რის საფუძველზე დაიკლებს ინფლაცია, ლოგიკურად რომ დავსვათ კითხვა. რატომ დაიკლებს, შეეშინდება ვინმესი? თავისი წინაპირობა ხომ უნდა ჰქონდეს. რა ჩატარდა, რომელი ღონისძიება გატარდა?! საერთოდ რაზე ვლაპარაკობთ, ორნიშნა ინფლაციაა ქვეყანაში!

***– საკმაოდ მძიმე სოციალური ფონია ქვეყანაში. ასეთი გაზრდილი ფასები, ინფლაცია. მოსახლეობა სულ უფრო ღარიბდება. საარსებო მინიმუმიც ასეთი დაბალია.***

– საარსებო მინიმუმი ცალკე დრამაა, საერთოდ რაც ანგარიშდება და რასაც აკეთებენ. რატომ აკეთებენ ამას, ვერ ვხვდები, იმიტომ, რომ ასე არ კეთდება საარსებო მინიმუმი. მეთოდოლოგიას ძალიან დავუწუნებ სახელმწიფოს, რომელიც ანგარიშობს საარსებო მინიმუმს საშუალო ხელფასს. სოციალურ ფონს რაც შეეხება, ეს მძიმე იყო და მძიმე რჩება. ეს ფონი როგორ უნდა გაუმჯობესდეს? მოსახლეობის შემოსავალი უნდა აღემატებოდეს მის ხარჯებს.

***– კიდევ ერთი სერიოზული პრობლემაა მოსახლეობის მასობრივი გადინება ქვეყნიდან. ყველაზე აქტიური, ახალგაზრდა და შრომისუნარიანი სეგმენტი ტოვებს ქვეყანას.***

– დატოვებს, რა თქმა უნდა. როცა შენი ხარჯები 25%-ით აღემატება შემოსავალს, რომელ სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზეა საუბარი. წავლენ, აბა, რას იზამენ. როცა ხარჯი 25%-ით აღემატება შემოსავალს, რანაირად უნდა იცხოვრო?! ამიტომაც მიდიან.




# პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტს ალან ბერსეს შეხვდა.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა ორ ქვეყანას შორის როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატებში არსებულ მჭიდრო თანამშრომლობასა და მეგობრულ ურთიერთობებს, აგრეთვე საქართველოს ამბიციური რეფორმების დღის წესრიგის სხვადასხვა მიმართულების განვითარებაში შვეიცარიის მიერ შეტანილი გრძელვადიანი წვლილის მნიშვნელობას.

გამოითქვა ქვეყნებს შორის ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების მზადყოფნა. როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, მისასალმებელია, რომ საქართველოში არაერთი შვეიცარიული კომპანია მრავალი წლის განმავლობაში წარმატებით ოპერირებს და, ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნებს შორის არსებული სავაჭრო და საინვესტიციო თანამშრომლობა კიდევ უფრო მიმზიდველი გახდეს შვეიცარიელი მეწარმეებისთვის.

მთავრობის მეთაურმა მადლობა გადაუხადა შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისთვის.

ასევე აღინიშნა 2008 წლის კონფლიქტის შემდგომ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის შვეიცარიის, როგორც მედიატორის ფუნქციის მნიშვნელობა.

# „ჩინეთი რუსეთის მოკავშირე არ არის“

მარიამ მჭედლიშვილი

## „დასავლეთი შეთანხმებულია, რომ პუტინმა არ უნდა გაიმარჯვოს“



მსოფლიოს უდიდესი ნაწილი მონაწილეობს სანქციებში რუსეთის წინააღმდეგ. ამის გამო რუსეთი სერიოზულად ზარალობს. ამ და სხვა საკითხებზე უკრაინულ მედიასთან საუბრობს უკრაინის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი პაველ კლიმკინი. მისი აზრით, დასავლეთს ჯერ არ შეუმუშავებია რუსეთის გადატვირთვის ერთიანი სტრატეგია. იმაზე, რომ დასავლეთმა უნდა იჩქაროს უკრაინისათვის სერიოზული შეიარაღების მიწოდება და რომ დასავლეთი მზად უნდა შეხვდეს პუტინის წასვლასა და რუსეთის დაშლასაც კი, ტრადიციულად ყურადღებას ამახვილებს უკრაინელი კომენტატორების უმრავლესობა.

***— პრეზიდენტ ზელენსკის განცხადებით, დღეისათვის თავისუფალ სამყაროს ყველაფერი აქვს იმისათვის, რომ რუსეთი ისტორიულ მარცხამდე მიიყვანოს. თქვენი შეფასებით, არსებობს თუ არა კოლექტიური დასავლეთის გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ უკრაინამ რუსეთის არმია საბოლოოდ დაამარცხოს? ხომ არ არის დასავლეთში შეშფოთება რუსეთის დაშლის ან პუტინის მხრიდან ბირთვული იარაღის გამოყენების შესაძლებლობის გამო?***

— რასაკვირველია, არის შეშფოთება დაშლის გამო, იმის გამო, თუ რა იქნება რუსეთის ადგილზე. რუსეთის გადატვირთვაზე საერთო სტრატეგია არ არსებობს, თუმცა ერთმნიშვნელოვნად არის ერთიანი ხედვა, საერთო კონსენსუსი, რომ პუტინმა არ უნდა გაიმარჯვოს. მისი გამარჯვება იქნება დასავლეთის წინააღმდეგ გამარჯვების მანიშნებელი. პუტინის გამარჯვება მოახდენდა გავლენას მთელი საუკუნის ისტორიაზე. იმავდროულად, დასავლეთს შეგნებული აქვს ფსონების აწევის აუცილებლობა. თქვენ ხედავთ ამას ენერგომატარებლებთან მიმართებით. შეზღუდვები მუშაობს. ბოლო გათვლები ადასტურებს, რომ რუსეთი ყოველდღიურად კარგავს 150-170 მილიონ დოლარს, ხოლო 5 თებერვლიდან, როცა შემოვა ემბარგო ნავთობპროდუქტებზე, რუსეთი ყოველდღე დაკარგავს დაახლოებით 250 მილიონს დოლარს.

ამჟამად განიხილება სანქციების შემოღების შესაძლებლობა რუსეთის აგრარული სექტორისთვის. ესეც დიდი ხნის განმავლობაში იყო დასავლეთის რუსეთზე ხანგრძლივი „ნარკოდამოკიდებულების“ მიზეზი.

არის ზღვრის ფუნდამენტური აწევა შეიარაღების, ენერგეტიკულ და ატომურ სექტორებში. ზღვარი აიწევა ტექნოლოგიურ სექტორშიც.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ხვრელების ჩაკეტვა სანქციების წინა პაკეტების თაობაზე. თუ ეს ყველაფერი განხორციელდა, ეს იქნება რუსეთზე ზეწოლის ახალი ხარისხი. ვაკვირდებით ფსონის ხარისხობრივ აწევას, თუმცა ჯერჯერობით არ ჩანს დასავლეთის საერთო სტრატეგია იმის თაობაზე, რომ ერთმნიშვნელოვნად მოხდეს რეჟიმის გადატვირთვა.

ამის დეკლარირება საჯაროდ არ ხდება. ამაზე არ მსჯელობენ. ამასთან, არსებობს დასავლეთის შიში იმის გამო, თუ რა მოხდება რუსეთში.

***— ხედავთ თუ არა ჩინეთის პოზიციის გარკვეულად შეცვლას რუსეთის მიმართ?***

— ჩინეთი რუსეთის მოკავშირე არ გახლავთ, ჩინეთი პარტნიორია. ისინი არასდროს ყოფილან მოკავშირეები და არც იქნებიან. მეორეც, ვერ ვხედავ ფუნდამენტურ ცვლილებებს ჩინეთის პოზიციაში რუსეთის მიმართ. ჩინეთი დღეს მზად არ არის, მთლიანად მიატოვოს რუსეთი. ის მას სჭირდება აშშ-სთან მეტოქეობაში. ამასთან, ჩინეთი რუსეთს არ დაუჭერს მხარს იქ, სადაც უნდა გადაკვეთოს დასავლეთის წითელი ხაზები. ჩინეთი გააგრძელებს ეკონომიკურ და სხვა სახის თანამშრომლობას რუსეთთან, მისი რესურსების გამოყენებას, მაგრამ ის არ გადაკვეთს წითელ ხაზებს.

ვხედავთ ჩინეთის ხელისუფლების გაწბილებას რუსეთში მიმდინარე მოვლენების გამო, მაგრამ ისინი ამას საჯაროდ არასდროს გაახმიანებენ. ეს არის ჩინეთის პოლიტიკის თავისებურება.

***— რას გულისხმობთ წითელ ხაზებში, რომლებსაც ჩინეთი არ გადადის?***

— იარაღის, სამხედრო დანიშნულების ტვირთების, ასევე იარაღის საწარმოებლად აუცილებელი ტექნოლოგიების მიწოდებას.

# პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი კომპანია Stena Line-ს აღმასრულებელ დირექტორს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი შვედური გადამზიდავი კომპანიის, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი საბორნე ოპერატორი კომპანიის Stena Line-ს აღმასრულებელ დირექტორს ნიკლას მარტენსონს შეხვდა.

ირაკლი ღარიბაშვილმა ნიკლას მარტენსონს საქართველოში არსებული ხელსაყრელი ბიზნესგარემოს შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, აღინიშნა, რომ საქართველოს სტრატეგიული ადგილმდებარეობა ევროპის, კასპიის რეგიონის, ცენტრალური აზიისა და ჩინეთის დაკავშირების შესაძლებლობას იძლევა. პრემიერ-მინისტრის თქმით, საქართველო არაერთი გავლენიანი საერთაშორისო ანალიტიკური ორგანიზაციის რეიტინგებში მოწინავე ადგილს იკავებს.

მთავრობის მეთაურმა StenaLine-ს აღმასრულებელი დირექტორი ქვეყანაში არსებული ბიზნესგარემოს გასაცნობად საქართველოში მოიწვია.

შვედური გადამზიდავი კომპანია Stena Line მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი საბორნე ოპერატორია. კომპანია ოპერირებს დანიაში, გერმანიაში, გაერთიანებულ სამეფოში, ირლანდიაში, ლატვიაში, ნიდერლანდებში, ნორვეგიაში, პოლონეთსა და შვედეთში. კომპანიის შემოსავალი 407,5 მილიონ დოლარს შეადგენს და 37 გემს ატარებს ევროპის ცხრა ქვეყანას შორის 17 საბორნე მარშრუტზე.




• • •

დავოსში ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ჩიტიგროუპ-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ჯეი კოლინზს შეხვდა.

პრემიერ-მინისტრმა ჩიტიგროუპ-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან საბანკო და ფინანსური მომსახურების სფეროში თანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები მიმოიხილა.

შეხვედრაზე განიხილეს საქართველოში არსებული საინვესტიციო პოტენციალი და ქვეყნის ფინანსურ ცენტრად გადაქცევის მიმართულებით მთავრობის მიერ გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები.

განსახილველ საკითხებს შორის იყო აგრეთვე საქართველოში გლობალური ბიზნესსერვისცენტრის გახსნის შესაძლებლობა.

ჩიტიგროუპ უმსხვილესი ამერიკული ფინანსური ინსტიტუტია, რომელსაც ფილიალები მსოფლიოს 19 ქვეყანაში აქვს, მათ შორის, აშშ-ში, მექსიკაში, დიდ ბრიტანეთში, ინდოეთში, უნგრეთში, პოლონეთსა და ირლანდიაში. კომპანიაში 210.000 ადამიანია დასაქმებული, მისი შემოსავალი კი, 2021 წლის მონაცემებით, 71 მილიარდ დოლარზე მეტს შეადგენს.

# დიმიტრი შაშკინი: „მელია ამბობდა, რომ ახლა მიხეილ სააკაშვილი პრიორიტეტი არ არის“

„ქართული ოცნება“ არის 10 წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებაში – ყველაფერზე, რაც ხდება საქართველოში, პასუხისმგებელია „ქართული ოცნება“ და თუ ისინი თვლიან, რომ ვიღაცას რაღაც შეუძლია გააკეთოს, ბოდვაა! თქვენ თუ მთხოვთ, რომ ბოდვა გავარჩიო, ფსიქიატრი არ ვარ, – ასე უპასუხა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა დიმიტრი შაშკინმა კითხვას, რომელიც მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით „ხალხის ძალის“ განცხადებას შეეხებოდა.

საუბარია განცხადებაზე, რომელიც უმრავლესობაში შემავალმა „ხალხის ძალამ“ დღეს გაავრცელა, და რომელშიც აღნიშნულია, რომ „სააკაშვილის პატრონებს რჩებათ გეგმა B – მისი, როგორც ოქროს მოწმის მოშორება, სააკაშვილის სიკვდილის ხელისუფლებისთვის დაბრალება, ამ საბაბით კი ქვეყანაში მასობრივი არეულობის მოწყობა“.

შაშკინის განმარტებით, „ქართული ოცნება“ თამაშობს რუსეთის თამაშს და რუსეთის დავალებებს ისედაც ასრულებს, ამიტომ არანაირი დამატებითი სქემები მას არ სჭირდება.

— თქვენ იცით, რომ მიხეილ სააკაშვილის ამერიკელ ადვოკატს ჰქონდა შესაძლებლობა, რომ გაკეთებულიყო ექსპერტიზა ამერიკულ ლაბორატორიაში, რომელმაც აჩვენა, რომ სააკაშვილის სისხლში არის შხამი. როგორ მოხვდა, ჩვენთვის ამ ეტაპზე, ბუნებრივია, ცნობილი არ არის, თუმცა ამავდროულად ყველას კარგად



გვახსოვს ლიტვინენკოს საქმე, ნავალნის საქმე – არ უნდა იყო დიდი ანალიტიკოსი და არ უნდა იყო სპეცსამსახურების წარმომადგენელი, რომ გაიგო, ორჯერ ორი ოთხია. მე ეჭვი არ მეპარება იმ დასკვნაში, რომელიც იყო წარდგენილი სასამართლოში. ეს დასკვნა არის გაკეთებული აშშ-ში, ამერიკულ ლაბორატორიაში, ამერიკელი ადვოკატების მიერ.

„ქართული ოცნება“ თამაშობს რუსეთის თამაშს და რუსეთი რასაც დაავალებს, „ქართული ოცნება“ ისედაც შეასრულებს და არანაირი სხვა სქემები „ქართულ ოცნებას“ არ სჭირდება, – განაცხადა შაშკინმა.

მან ამასთან აღნიშნა, მიხეილ სააკაშვილის ინტერესების საუკეთესოდ დასაცავად აუცილებელია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ იყოს ძლიერი. მან ხაზგასმით განაცხადა, რომ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ნიკა მელიას პრიორიტეტი მიხეილ სააკაშვილი არ ყოფილა.

— სამწუხაროდ, ერთ წლის განმავლობაში გვეუბნებოდნენ, რომ მიხეილ სააკაშვილი ახლა პრიორიტეტი არ არის. ახლა ეს შეიცვალა და ეს არის პირველი შედეგი ინიციატივის (რომელიც არჩევნებს გულისხმობს). ეს იყო განცხადებები, რომელიც არის საჯარო, სადაც ნიკა მელია ამბობდა, რომ ახლა მიხეილ სააკაშვილი პრიორიტეტი არ არის, რომ ბრძოლა არ იქნება მიხეილ სააკაშვილის გარშემო.

იმისთვის, რომ პარტიამ დაიცვას მიხეილ სააკაშვილი, საჭიროა პარტიის გაძლიერება. სამწუხაროდ, ბოლო ერთი წლის განმავლობაში პროცესებმა, რომლებიც მიმდინარეობდა პარტიაში, პარტია დაასუსტა და ახლა, ამ თვეში, მე ვარ დარწმუნებული, რომ ეს პროცესი შეიცვლება და პარტია გახდება ისეთი, როგორიც ადრე იყო და როგორიც უნდა იყოს მთავარი ოპოზიციური პარტია. მხოლოდ, როდესაც ნაციონალური მოძრაობა იქნება ძლიერი, ჩვენ შევძლებთ ვაიძულოთ ბიძინა ივანიშვილი, რომ გადაიყვანოს მიხეილ სააკაშვილი სამკურნალოდ.

ნებისმიერ არჩევნებს მოჰყვება პოლიტიკური კონფლიქტი, მოჰყვება ნეგატიური აზრების ურთიერთგაცვლა, თუმცა ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ ეს არჩევნები დასრულდება 30 იანვარს და მე დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენ ყოველთვის დავრჩებით ერთ გუნდის წევრებად და ეს ნეგატიური რიტორიკა შემცირდება. მე მეძახიან დინოზავრს, ზოგს ეძახიან მარიონეტს, რა მნიშვნელობა აქვს. ეს ყველაფერი არის პოლიტიკური რიტორიკა და ეს დასრულდება, – განაცხადა შაშკინმა.

# ანრი ოხანაშვილი: „ბერძენიშვილი პროვოკაციული განცხადებებით იყო გამორჩეული“



– 2022 წლის განმავლობაში ბატონი ბერძენიშვილი პროვოკაციული განცხადებებით იყო გამორჩეული – რა თქმა უნდა, დემოკრატიულ საზოგადოებაში ეს მოთმენადი უნდა იყოს და ხალხს იმის უფლება არა აქვს, ამის გამო რაიმე უკანონო ქმედება განახორციელოს, თუმცა საზოგადოებას აქვს სრული უფლება, მის ამ პროვოკაციულ და ძალიან მძიმე განცხადებებზე საკუთარი დამოკიდებულება გამოხატოს! – ეს განცხადება ჟურნალისტებთან პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ანრი ოხანაშვილმა გააკეთა.

ოხანაშვილის შეფასებით, „არავის მიეცა უფლება იმისა, რომ ამ პირთან მიმართებაში რაიმე უკანონო ქმედება ჩაედინა“.

– რაც შეეხება კონკრეტულ ფაქტს, არსებობს თუ არა მიმართვა შესაბამისი უწყებისთვის, ამას პასუხს უწყებები გასცემენ. მე რაც სხვადასხვა ეთერში ვნახე, იყო ის, რომ პოლიცია იცავდა წესრიგს იმისთვის, რომ ვინმეს უფლება არ შეელახათ. თუ ვინმეს დამატებითი კითხვები აქვს და რაიმეს შეზღუდვასთან დაკავშირებით ლეგიტიმურობის საკითხს კითხვის ქვეშ აყენებს, ამას პასუხს კონკრეტული უწყება გასცემს. ფაქტია, რომ არავის მიეცა უფლება იმისა, რომ ამ პირთან მიმართებაში რაიმე უკანონო ქმედება განეხორციელებინა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან კონკრეტული პირის განცხადება როგორც არ უნდა მოგწონდეს, ვინმეს არ აძლევს უფლებას, რომ სხვა პირის უფლებაში ჩაერიოს, – განაცხადა ანრი ოხანაშვილმა.

კითხვაზე, რა ტენდენციაზე მიუთითებს ყვარლის ინციდენტი და ვალდებული იყო თუ არა პოლიცია, რომ ბერძენიშვილის ახალგაზრდებთან დაგეგმილი შეხვედრა და ლექციის გამართვა უზრუნველეყო, ოხანაშვილმა აღნიშნა, რომ არა აქვს ინფორმაცია, თუ რა ლექცია იგეგმებოდა.

– არ ვიცი, რა ლექცია იგეგმებოდა, იყო თუ არა ლექცია. გასარკვევია, რა ღონისძიება იყო. გასარკვევია, რა კომუნიკაცია იყო ბერძენიშვილსა და პოლიციას შორის, რა შესთავაზეს. არის ბევრი ნიუანსი, რაც გადაწყვეტილების მიღების საფუძველს ქმნის, – დასძინა ანრი ოხანაშვილმა.

15 იანვარს, ყვარელში, ლევან ბერძენიშვილს ლექციის ჩატარების შესაძლებლობა არ მიეცა. ბერძენიშვილი ახალგაზრდებს „ევროკლუბში“ უნდა შეხვედროდა, თუმცა მას „ალტ-ინფოს“ წევრებმა გზა გადაუკეტეს და ლექციის ჩატარების საშუალება არ მისცეს.

# თურქეთში ქართველი „კანონიერი ქურდის“ მკვლელობისთვის ერთ-ერთი დაკავებული ქართველია



პირები, რომლებმაც ტრაპიზონში შეიარაღებული თავდასხმის შედეგად ქართველი ბანდის ლიდერი რევაზ ლორთქიფანიძე, მეტსახელად „რეზო თბილისკი“ მოკლეს, სასამართლოში გადაიყვანეს.

დაკავებულებიდან ერთ-ერთი ქართველია. გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებული არიან ყირგიზეთის მოქალაქე ინიციალებით – ნ.მ და საქართველოდან რ.მ.

გავრცელებული ინფორმაციით, იგი მანქანაში სროლის შედეგად გარდაიცვალა. მას მანქანიდან ესროლეს და დაჭრეს. შემთხვევის ადგილზე პოლიცია და სასწრაფო ეკიპაჟი იყო მობილიზებული. ინფორმაციას ამის შესახებ ადგილობრივი მედია ავრცელებს.

დაშავებული 112-ის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფის პირველი ჩარევის შემდეგ საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

გარდაცვლილი 65 წლის იყო.

# სუსის თანამშრომლებმა ბათუმის მერიის მუნიციპალური ინსპექციის თანამშრომელი დააკავეს

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა ბათუმის მერიის მუნიციპალური ინსპექციის თანამშრომელი დააკავეს. აღნიშნული ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს“ უწყებაში დაუდასტურეს.

არსებული ინფორმაციით, მუნიციპალური ინსპექციის თანამშრომელი ქრთამის აღების ფაქტზეა დაკავებული. სხვა დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

# საშინელი ავარია რიკოთის გვირაბში

რიკოთის გვირაბში ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. ერთმანეთს სამი ავტომობილი შეეჯახა. შემთხვევის შედეგად ერთი ადამიანი დაშავდა, რომელიც საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მომხდართან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება.

# მოსამართლე მარიამ ჯიშკარიანს — „უხეშად მიმართეთ მხარეს. ამას არ გაპატიებთ“



მოსამართლე გიორგი არევაძემ ცენტრ „ემპათიის“ ხელმძღვანელი მარიამ ჯიშკარიანი პენიტენციარული სამსახურის წარმომადგენლისადმი არასათანადო მიმართვის გამო გააფრთხილა.

როგორც მოსამართლემ აღნიშნა, უხეში მიმართვის განმეორების შემდეგ ის ჯიშკარიანს ჯერ დააჯარიმებს, შემდეგ კი გააძევებს დარბაზიდან.

– პროცესის ყველა მონაწილის მიმართ უნდა იყოთ კორექტული და პატივისცემით ესაუბრებოდეთ. დაახლოებით 40 წუთი თქვენს რეგალიებზე მესაუბრეთ და უხეშად მიმართეთ მხარეს, ამას არ გაპატიებთ, დაგაჯარიმებთ! თუ იქამდე მივიდა ეს საქმე, რომ კიდევ გაგრძელდა, გაგაძევებთ სხდომის დარბაზიდან. პატივი ეცით საკუთარ თავსაც, თქვენ მომწვევ მხარესაც და მოწინააღმდეგე მხარესაც, – განაცხადა მოსამართლემ.



# ოჯახში ძალადობისა და არასრულწლოვანი გერის გაუპატიურების ფაქტებზე ბრალდებულს 16 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

თელავის რაიონულმა სასამართლომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები გაიზიარა და 14 წლის ასაკს მიუღწეველი გერის გაუპატიურების, სექსუალური ხასიათის ქმედების, ოჯახში ძალადობის, სისტემატური ცემისა და მუქარის ფაქტებზე ბრალდებული დამნაშავედ ცნო. ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

უწყების ცნობით, ბრალდების მხარის მიერ სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ბრალდებულმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა არასრულწლოვან შვილებს, ასევე, გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით, მეუღლეს, მათ შორის ორსულობის პერიოდში, სისტემატურად აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას და მას მოკვლით ემუქრებოდა.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ბრალდებული 14 წლის ასაკს მიუღწეველი გერის მიმართ ასაკის გამო უმწეობის გამოყენებით სისტემატურად ახორციელებდა სექსუალური ხასიათის ქმედებებს. ასევე იგი ძალადობითა და



ძალადობის მუქარით არასრულწლოვან დაზარალებულს სისტემატურად აუპატიურებდა.

თელავის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებული სრულად ცნო დამნაშავედ ოჯახის წევრის მიმართ სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების ჩადენის (სისხლის სამართლის კოდექსის 11-ე პრიმა, 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი (4 ეპიზოდი)); არასრულწლოვანი ოჯახის წევრის გაუპატიურების, (მე-11 პრიმა, 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი (3 ეპიზოდში)); ოჯახში ძალადობის, არასრულწლოვნების მიმართ და თანდასწრებით ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი ძალადობის ცემის (126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით), სისტემატური ძალადობის (მე-11 პრიმა, 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „კ“ ქვეპუნქტებით) და ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული მუქარის ფაქტებზე (მე-11 პრიმა, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი) და სასჯელის სახედ და ზომად 16 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

სასამართლომ ამავე განაჩენით ბრალდებული ნაწილობრივ ცნო დამნაშავედ გაუპატიურების რამდენიმე ეპიზოდში, გაამართლა გაუპატიურების ორ ეპიზოდსა და გარყვნილი ქმედების ფაქტზე. ბრალდების მხარე სასამართლოს გადაწყვეტილებას კანონით დადგენილ ვადაში სააპელაციო წესით გაასაჩივრებს.

საქართველოს პროკურატურა მსგავსი კატეგორიის დანაშაულებზე მკაცრ სისხლის სამართლის პოლიტიკას ატარებს, რასაც მომავალშიც გააგრძელებს.

# სასამართლომ „კანონიერ ქურდობაში“, „ქურდული სამყაროს“ წევრობასა და „ქურდული სამყაროს“ მხარდაჭერაში სამი ბრალდებული დამნაშავედ ცნო

თბილისის საქალაქო სასამართლომ „კანონიერ ქურდობაში“, „ქურდული სამყაროს“ წევრობასა და „ქურდული სამყაროს“ მხარდაჭერაში სამი ბრალდებული დამნაშავედ ცნო.

პროკურატურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2021 წლის ბოლოს „ქურდული სამყაროს“ წევრმა, საზღვარგარეთ მყოფ „კანონიერ ქურდთან“ შეთანხმებით, მოქალაქეთა შორის მიწის ნაკვეთის კუთვნილებასთან დაკავშირებული დავის გადასაწყვეტად არაერთი „ქურდული გარჩევა“ მოაწყო, მათ შორის მოდავე მხარეები „კანონიერ ქურდთან“ თურქეთში ჩაიყვანა.

გამოკვლეული მტკიცებულებებით ასევე დადგინდა, რომ ერთ-ერთი ბრალდებული მხარს უჭერდა „ქურდული სამყაროს“ საქმიანობას.

სასამართლომ ორი ბრალდებული, მათ შორის, კანონიერი ქურდი, სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად ერთს 10 წლით, ხოლო მეორეს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ამავე განაჩენით, ერთ ბრალდებულს წარდგენილი ბრალდება „ქურდული სამყაროს“ წევრობა (223'-ე მუხლის პირველი ნაწილი), გადაუკვალიფიცირდა „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის მუხლით (223'''-ე მუხლის მეორე ნაწილი) და სასჯელის სახით 3 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, ხოლო კიდევ ერთი პირი, რომელსაც ბრალდება წარდგენილი ჰქონდა „ქურდული სამყაროსთვის“ მიმართვის მუხლით (223'-ე მუხლის პირველი ნაწილი), გამართლდა.

ბრალდების მხარე სასამართლოს გადაწყვეტილებას მუხლის გადაკვალიფიცირებისა და ბრალდებულის გამართლების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრებს.




## საზოგადოება

# ვილი პაჭკორია სააკაშვილზე — „დღითიდღე შესაძლებელია, ველოდოთ დამძიმებას“



საქართველოს კლინიკების ასოციაციის პრეზიდენტ ვილი პაჭკორიას განცხადებით, მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესები, პაციენტის მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, უნდა დაჩქარდეს.

როგორც მან თბილისის საქალაქო სასამართლოს ეზოში ჟურნალისტებთან საუბრისას განმარტა, აუცილებელია, მიხეილ სააკაშვილი ჰუმანიტარული მიზნებით უცხოეთის მაღალკვალიფიციურ კლინიკაში სამკურნალოდ გადაიყვანონ.

– საქართველოს სამედიცინო საზოგადოების წარმომადგენლები და ექიმები მოვუწოდებთ სასამართლოს იმისკენ, რომ რაც შეიძლება დააჩქაროს განხილვის პროცესი, რადგან პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ ითმენს. დღითიდღე შესაძლებელია ველოდოთ დამძიმებას და შემდგომში გამოსავალი იქნება ძალიან ცუდი და ნუ მივიყვანთ პროცესს იმ მდგომარეობამდე, რომ შემდგომ მძიმე პაციენტს ვერ უშველოს უცხოეთის კლინიკებმა. აქედან გამომდინარე, ჩვენი თხოვნაც და მოთხოვნაც, სასამართლო პროცესები ჩატარდეს სწრაფი ტემპით და მიღებულ იქნეს პაციენტის ჯანმრთელობისათვის სასარგებლო გადაწყვეტილება, რათა იგი დროულად გადაიყვანონ ჰუმანიტარული მიზნებით უცხოეთის მაღალკვალიფიციურ კლინიკაში სამკურნალოდ, იქ, სადაც ადამიანური რესურსები და მატერიალური ტექნიკური ბაზა გააჩნიათ შესაბამისი სირთულის პაციენტის მართვისთვის, – განაცხადა ვილი პაჭკორიამ.

# გელათის ტაძრის წინამძღვარი მამა იოსები დამწვრობის ცენტრში, რეანიმაციულ განყოფილებაში რჩება



გელათის ტაძრის წინამძღვარი მამა იოსებ ბურჯანაძე დამწვრობის ცენტრში, რეანიმაციულ განყოფილებაში რჩება. ექიმების ინფორმაციით, მას სხეულის 44% აქვს დამწვარი და მისი მდგომარეობა ამ დრომდე მძიმეა. კელიაში ხანძარი ორი დღის წინ გაჩნდა. მამა იოსები ვარაუდობდა, რომ შენობაში ადამიანი იმყოფებოდა და მის გადასარჩენად შევიდა, რის შედეგადაც დამწვრობა მიიღო.

# გიული ალასანია: „არ მაგონდება მეორე ქართველი, რომელიც ასეთი პოპულარული იყო — მეორე ბუბა არ იქნება, წარმოუდგენელია“

„მეორე ბუბა არ იქნება, წარმოუდგენელია“, – ამის შესახებ საქართველოს მესამე პრეზიდენტის დედამ, გიული ალასანიამ, ჟურნალისტებს ქაშვეთის ტაძარში განუცხადა, სადაც ვახტანგ კიკაბიძის პანაშვიდი მიმდინარეობს.

როგორც მან აღნიშნა, ბუბა კიკაბიძე საოცარი არტისტიზმით იყო დაჯილდოებული.

– მე არ მაგონდება მეორე ქართველი, რომელიც ასეთი პოპულარული იყო. ძალიან დიდი დანაკლისია. მეორე ბუბა არ იქნება, წარმოუდგენელია. განუმეორებელი შარმი, საოცარი მომხიბვლელი ღიმილით. საოცარი არტისტიზმით იყო დაჯილდოებული. სიკეთით სავსე იყო. ჩემი შვილისთვის ძალიან ახლო მეგობარი იყო. როდესაც დაიღუპა, ჩემმა შვილმა მითხრა, რომ ბოლოს როდესაც იყო სანახავად და გადიოდა, კართან შეჩერდა, გამომხედა და მითხრა: მიშა, ძალიან მიყვარხარო, – აღნიშნა ალასანიამ.

ქაშვეთის ეკლესიაში ქართველი ხელოვანის, ვახტანგ (ბუბა) კიკაბიძის სამოქალაქო პანაშვიდი მიმდინარეობს. ბუბა კიკაბიძე 84 წლის ასაკში გარდაიცვალა. მას ხუთშაბათს, 19 იანვარს, თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზიდან გამოასვენებენ. ოჯახის წევრების ინფორმაციით, ბუბა კიკაბიძეს ვერის სასაფლაოზე დაკრძალავენ.

# ჯანდაცვის მინისტრი: „კორონავირუსის მატებასთან დაკავშირებით შიშისა და განგაშის საფუძველი არ არსებობს“



– ჯანდაცვის სამინისტრო მუდმივ რეჟიმში თვალს ადევნებს მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციებს. კორონავირუსის მატებასთან დაკავშირებით შიშისა და განგაშის საფუძველი არ არსებობს, – ამის შესახებ საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა განაცხადა.

ზურაბ აზარაშვილის განმარტებით, კორონავირუსთან დაკავშირებით განცხადების გაკეთებისას ნებისმიერმა პირმა სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, რათა დაუზუსტებელი ინფორმაციის გავრცელებას მოსახლეობაში უსაფუძვლო შიში და პანიკა არ მოჰყვეს.

– ამ ეტაპზე განგაშის არანაირი საფუძველი არ არსებობს. ვინც განცხადებებს აკეთებს, ყველა ადამიანს სიფრთხილისკენ მოვუწოდებთ, რათა მოსახლეობაში უსაფუძვლო პანიკა არ დათესონ. ჩვენ ვაკვირდებით მოვლენებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩინეთსა და სხვადასხვა ქვეყანაში. შესაბამისად, დადასტურებით შემიძლია გითხრათ, რომ ვირუსის გავრცელების საშიშროება არ არსებობს. როგორც კი რაიმეს შევნიშნავთ, თუმცა, დარწმუნებული ვარ, ამ მიმართულებით საშიშროება არ იქნება, ჩვენ აუცილებლად ვაცნობებთ საზოგადოებას. ჩემი თხოვნაა, რომ მედიამ მხოლოდ და მხოლოდ ოფიციალურ, ლეგიტიმურ წყაროებზე დაყრდნობით გაავრცელოს ინფორმაცია.

აუცილებელია, რომ ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადებით და არა ნებისმიერი მსურველის, ვისაც შეიძლება კითხვა დავუსვათ და თავისი სუბიექტური თუ ობიექტური მოსაზრების გამო განცხადება გააკეთოს, – განაცხადა ზურაბ აზარაშვილმა, რომლის კომენტარსაც ჯანდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

# რუსები ახალი შეტევისათვის ემზადებიან



რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. სოლედართან ბრძოლებმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა რუსეთის არმიის პრობლემები. რუსებმა სოლედარის აღება ვერ შეძლეს. მათ რიგებში კოლოსალური დანაკარგებია.

მარცხმა განაპირობა მორიგი საკადრო ცვლილებები. უკრაინაში რუსული საოკუპაციო არმიის სარდალი, გენერალი სუროვიკინი, პოსტიდან მოხსნეს. ის შეცვალა რუსეთის არმიის გენშტაბის უფროსმა, გენერალმა გერასიმოვმა.

– ეს ცვლილება არაფერს არ მოგვცემს! აუცილებელია მთელი არმიის რეორგანიზაცია, პოლიტიკური ელიტის გაწმენდა და ეკონომიკის სამხედრო რელსებზე გადაყვანა, – აცხადებს რუსი ექსპერტი კორიტჩენკო.

მსგავსი მასშტაბური ცვლილებებისათვის მშვიდობიანი შესვენებაა აუცილებელი. მოსკოვშიც ხასავიურტის მსგავს შეთანხმებაზე ალაპარაკდნენ. პუტინისათვის ეს კატასტროფაა. რუსეთის არმიაში დანაკარგებმა უკვე 116.000-ს გადააჭარბა. ასეთ პირობებში თუნდაც დროებითი, მაგრამ კომპრომისული ზავის დადება პუტინის პოლიტიკური კარიერის დასასრულს ნიშნავს.

რუსეთის პრეზიდენტმაც ახალი გეგმა შეიმუშავა. რტრ-ისათვის მიცემულ ინტერვიუში დიქტატორმა განაცხადა:

აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტის აზრით, პუტინის ახალი გეგმა შემდეგ პუნქტებს შეიცავს: 1. შეტევა დონეცკის ოლქზე; 2 შეტევა ლუგანსკის ოლქზე; 3. შეტევა უკრაინის სამხრეთზე (ხერსონი, ზაპოროჟიე). ამის შემდეგ პუტინი დროებით ზავზე წავა, განახორციელებს მისთვის ესოდენ აუცილებელ საკადრო ცვლილებებს, შემდეგ კი ახალ შეტევაზე გადავა.

– პუტინის მიზანი მთელი უკრაინის დამორჩილებაა. ეს მოიცავს უკრაინის ფედერალიზაციას, ნეიტრალურ სტატუსს ან ბელარუსის ტიპის მარიონეტული რეჟიმის შექმნას, – მიიჩნევენ ამერიკელი ანალიტიკოსები.

უკრაინის ბელარუსიზაცია დაკავშირებულია არა მხოლოდ უდიდეს მსხვერპლთან, არამედ ფინანსურ დანახარჯებთანაც. ამიტომაც საეჭვოა, რომ რუსეთმა ეს გზა აირჩიოს. სავარაუდოდ, აქცენტი უკრაინის დაშლაზე გაკეთდება, ანუ უნდა წარმოიქმნას უკრაინული სახელმწიფო ცენტრით ხარკოვში (ე.წ. ხარკოვის რესპუბლიკა), აგრეთვე მეორე უკრაინული სახელმწიფო, რომლის დედაქალაქი ალბათ იქნება ქალაქი დნეპრო, მესამისა – კიევი. რაც შეეხება დასავლეთ უკრაინას, საეჭვოა, რომ რუსეთი მის დამოუკიდებლობას დაჰყაბულდეს.

თუ პუტინმა გაიმარჯვა, დასავლეთ უკრაინას პოლონეთი, რუმინეთი და უნგრეთი გაინაწილებენ, თუმცა ეს შორეული გეგმებია. ამ ეტაპზე პუტინი მხოლოდ დონბასის ან ხერსონ-ზაპოროჟიეს ოლქების ანექსიით დაკმაყოფილდება.

# პრინც ჰარის მეუღლე ჯადოსნური სელაპის წყალობით დაფეხმძიმდა



პრინცმა ჰარიმ აღიარა, რომ მამის რჩევით სელაპებს უმღერა, რათა ამით თავის მეუღლე მეგან მარკლს დაფეხმძიმებაში დახმარებოდა. ამ ყველაფერზე საუბარია პრინცის მემუარებში.

ჰარის თქმით, ქორწილის შემდეგ ის და მეგანი შიშობდნენ, რომ სტრესის გამო ბავშვის ჩასახვას ვერ შეძლებდნენ. 2018 წლის ზაფხულში ის და მისი მეუღლე შოტლანდიაში ციხე-სიმაგრე მეიში პრინც ჩარლზს, მომავალ მეფე კარლოს III-ს სტუმრობდნენ.

მან მეგანთან საუბარში ახსენა კელტური ლეგენდა ჯადოსნურ არსებებზე, შელკებზე, რომლებსაც სურვილების ასრულება შეეძლოთ.

ჩარლზი ირწმუნებოდა, რომ შელკებს შესაძლოა ზღვის სანაპიროზე ციხე-სიმაგრიდან ორ ნაბიჯში შეხვედროდნენ. ერთი შეხედვით, მათი სელაპებისგან გარჩევა შეუძლებელია.

– ამიტომ, როდესაც ხედავ სელაპს, განგვიმარტა მან, ვერასოდეს გაიგებ... მათ უნდა უმღერო, რაზეც შელკები სიმღერითვე გიპასუხებენ, – ყვება პრინცი ჰარი.

პლაჟზე სეირნობის დროს მეგანი და ჰარი მართლაც გადააწყდნენ სელაპს და პრინცი შეეცადა, მისთვის ემღერა. ცხოველს ამაზე რეაგირება მანამდე არ მოუხდენია, სანამ მეუღლესთან ერთად მეგანიც არ ამღერდა. ჰარის თქმით, მაშინვე იქ მყოფმა ყველა სელაპმა ამოყვინთა წყლიდან და მათთან ერთად „ამღერდა“.

– სულელური ცრურწმენა? შესაძლოა, მაგრამ, რა მნიშვნელობა აქვს. მე ის მაინც კარგ ნიშნად ჩავთვალე, ტანსაცმელი გავიძვრე და მათკენ გავცურე, – ამტკიცებს ჰარი თავის წიგნში.

მალე ცნობილი გახდა, რომ მეგანი დაფეხმძიმდა. ჰარი მეუღლის ფეხმძიმობის ტესტის დადებით შედეგს უყურებდა და გულში შელკებსა და დედას, პრინცესა დიანას, დახმარებისთვის მადლობას უხდიდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# აშშ-ში მარტინ ლუთერ კინგის დღე აღნიშნეს



აშშ-ში ცნობილი უფლებადამცველის მარტინ ლუთერ კინგის დაბადების დღე აღნიშნეს. გარდაცვლილის ღვაწლზე თვით პრეზიდენტმა ბაიდენმა საგანგებოდ ილაპარაკა.

– მარტინ ლუთერ კინგი ადამიანის უფლებებისა და ქრისტიანული ფასეულობებისათვის ბრძოლას შეეწირა, – თქვა ბაიდენმა.

# აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე კიევს ესტუმრა



აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე შერმანი კიევს ესტუმრა. ამის თაობაზე იუწყება რადიო „თავისუფლება“.

შერმანი პირადად შეხვდა პრეზიდენტ ზელენსკის ოფისის ხელმძღვანელს ერმაკსა და პრემიერ შმიგალს. საუბარი შეეხებოდა იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც დღეს უკრაინა აღმოჩნდა. განხილულ იქნა ფრონტებზე შექმნილი მდგომარეობა და უკრაინული არმიის აღჭურვა.

# აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილის განცხადება



აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილე კილიმ ისტორიული განცხადება გააკეთა. მისი თქმით, უკრაინას შორს მსროლელზე უფრო ზუსტი რაკეტები ესაჭიროება და აშშ-ც მათ მიწოდებაში დაეხმარება.

აქამდე ოფიციალური ვაშინგტონი უკრაინისათვის რაკეტების მოწოდებას კატეგორიულად უარყოფდა. ასე რომ, კილის განცხადება უდავოდ ისტორიულია.

# უკრაინელებმა სევასტოპოლს დაარტყეს



ქალაქში დანგრეულია სახლები. არის მსხვერპლი, – აცხადებს სევასტოპოლის გუბერნატორი როზვოჟაევი.

რაც შეეხება ხერსონსა და ზაპოროჟიეს, აქ პოზიციური ბრძოლებია. რუსი ოკუპანტების წინ წაწევის ნებისმიერი მცდელობა მარცხით მთავრდება. პასუხად ოკუპანტები ზაპოროჟიესა და ხერსონსაც ბომბავენ. ზაპოროჟიეში დანგრეულია სამშობიარო, რამდენიმე სკოლა და საცხოვრებელი სახლი. პასუხად არ წყდება უკრაინელი პარტიზანების აქციები ოკუპირებულ მელიტოპოლში, ბერდიანსკსა და სხვა ქალაქებში. აფეთქებების სერიას ბოლო არ უჩანს.

# ბრძოლები დონბასში



რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. ყველაზე სასტიკი ბრძოლები კვლავაც დონბასშია. არ წყდება შეტაკებები სოლედართან. უკრაინელი მეომრები, რომლებიც სოლედარის გარეუბნებში გამაგრდნენ, ქალაქის ცენტრში მყოფ რუსებს ცეცხლს უშენენ. ოკუპანტების მდგომარეობა სავალალოა. მათ ან უკან უნდა დაიხიონ, ან წინ წაიწიონ. ბრძოლებია ბახმუტთანაც, მაგრამ მათი ინტენსიურობა მკვეთრად დაეცა.

ოკუპანტები იძულებულნი გახდნენ, ბახმუტიდან რიგი ნაწილები მოეხსნათ და სოლედარისაკენ გადაესროლათ. ამან შეასუსტა წნეხი ბახმუტზე, მაგრამ ის ბოლომდე არ მოსპობილა. რუსი ოკუპანტები ცდილობენ, ბახმუტში შეაღწიონ. ეს მცდელობა ჯერჯერობით წარუმატებელია.

სასტიკი ბრძოლებია ავდეევკასთან, მარინკასთან, უგლედართან. ოკუპანტების მცდელობა, წინ წაიწიონ, აქაც მარცხით მთავრდება. პასუხად რუსები ხსენებულ ქალაქებს რაკეტებს უშენენ. სახლების უმრავლესობა დანგრეულია. მოსახლეობის დიდი ნაწილი გახიზნულია. ის, ვისაც წასასვლელი არა აქვს, ან სარდაფებს აფარებს თავს, ან რუსული რაკეტების ქვეშ იღუპება.

ბრძოლებია ლუგანსჩინაზეც. უკრაინელები შეტევებს განაგრძობენ კრემენოე-სვატოვოს მომართულებით. უკრაინელმა ბლოგერებმა გაავრცელეს ცნობები კრემენოეში უკრაინული ჯარის შესვლის თაობაზე. ეს არ დადასტურდა. დღეისათვის კრემენოე-სვატოვოს მიმართულებით ბრძოლებია. პარალელურად უკრაინელებმა განახორციელეს სარაკეტო დარტყმები დონეცკზე, გორლოვკაზე, მაკეევკასა და დროებით ოკუპირებული დონბასის სხვა ქალაქებზე. რუსების რიგებში სერიოზული მსხვერპლია.

დიქტატორმა პუტინმა თავის ჯარს მოკლე და კონკრეტული ამოცანა დაუსახა: მარტის ბოლომდე სვატოვო და კრემენოე უნდა აიღონ. თებერვალშიც მოსალოდნელია რუსების მასშტაბური შეტევა. პუტინი აპირებს, იერიშზე გარეკოს 200.000 მობილიზებული.

# დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში

რუსეთ-უკრაინის ომი სულ ფრო მწვავე ხასიათს იღებს. რუსი ოკუპანტების დანაკარგები შემდეგია: ტანკები – 3.118; არტილერია – 2.099; ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა – 220; თვითმფრინავები – 286; ვერტმფრენები – 276; ფრთოსანი რაკეტები –749; განადგურებულია 116.950 ოკუპანტი.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## სპორტი

# ოთხმეზურის საუკეთესო მატჩი. ბურჯანაძეს კონტრაქტი გაუგრძელეს



იტალიის საკალათბურთო ჩემპიონატის პირველი წრე თორნიკე შენგელიას ვირტუს ბოლონიამ ორმატჩიანი წარუმატებელი სერიის შეწყვეტით დაასრულა. ვირტუსმა ვენეცია ისტუმრა და მძიმე ბრძოლაში ბოლო წამებზე მინიმალური სხვაობით დაამარცხა – 79:78.

გამარჯვებაში შენგელიამ სოლიდური წილი დაიდო. ქართველმა ფორვარდმა სასტარტო ხუთეულში ითამაშა და მოედანზე გატარებულ 28 წუთში 15 ქულა, 4 მოხსნა, 3 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაგროვა.

თორნიკემ 10-დან 5 ორქულიანი, 2-დან 1 სამქულიანი და 4-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი 4-ჯერ დაკარგა, 2-ჯერ დაუფარეს, 3 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი 4-ჯერ დაჯარიმდნენ.

ვირტუს ბოლონიამ 15 ტურში 12 მოგება მოაგროვა და სერია ა-ს უმთავრეს კონკურენტ ოლიმპია მილანოსთან ერთად ლიდერობს. შენგელიას კლუბი მომდევნო მატჩს სტუმრად ბრინდიზისთან გამართავს.

ბექა ბურჯანაძის რეჯიო ემილიას რაც გასულ მატჩებში წაგებები ჰქონდა, მთელი ჯავრი ტრენტოზე, გასვლით მატჩში იყარა. ქართველმა ფორვარდმაც დიდებულად ითამაშა და ემილიელებმა მეტოქე 84:68 დაამარცხეს.

ბურჯანაძემ მოედანზე 23 წუთი გაატარა, რა დროშიც 14 ქულა და 6 მოხსნა დააგროვა. ბექამ 5-დან 3 ორქულიანი, 3-დან 2 სამქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. ბექას რეჯინაში მხოლოდ მისმა თანაგუნდელმა, ლიეტუველმა ოსვალდას ოსილევიჩიუსმა აჯობა – 24 ქულა, 9 მოხსნა და 1 პასი.

ამასობაში რეჯო ემილიამ დაადასტურა, რომ ქართველი კალათბურთელის გუნდიდან გაშვებას არ აპირებს. შეგახსენებთ, რომ ბურჯანაძეს პირველადი კონტრაქტი 18 იანვრამდე ჰქონდა გაფორმებული, ახალი შეთანხმების საფუძველზე კი კლუბში კიდევ ერთი თვე დარჩება. შემდგომი გადაწყვეტილება სწორედ ამის მერე იქნება მიღებული.

საქართველოს ნაკრების ფორვარდი რეჯო ემილიაში გასული წლის 14 ნოემბერს გამოჩნდა და იტალიური კლუბის მაისურით ჩემპიონატში ჩატარებულ 9 მატჩში საშუალოდ 19.6 წუთში 7.2 ქულა და 3.8 მოხსნა აქვს.

რეჯინამ კი სეზონში მეოთხე მატჩი მოიგო. მართალია, ემილიელებმა პირველი წრე გამარჯვებით დაასრულეს, მაგრამ ისევ ბოლო ადგილზე რჩებიან, მეორე წრეს კი ჩემპიონატის ლიდერ მილანოსთან მატჩით გახსნიან.

ესპანეთის ჩემპიონატის მე-16 ტურში ლენოვო ტენერიფემ სტუმრად სარაგოსა 87:83 დაამარცხა, მატჩის საუკეთესო მოთამაშის (მვპ) პრიზი კი ისევ გიორგი შერმადინმა მოიგო. კუნძულელთა ქართველმა ლეგიონერმა სარგებლიანობის უმაღლესი კოეფიციენტი დააგროვა და როგორც გა-

გაგრძელება მე-7 გვერდზე

## განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# ბაზაძემ გრანპრი მოიგო და რეიტინგის ლიდერი გახდა



29 წლის ქართველმა მოფარიკავე სანდრო ბაზაძემ კიდევ ერთი ისტორიული გამარჯვება მოიპოვა. ჩვენებური ტუნისის გრანპრის გამარჯვებული გახდა და საერთოდ პირველი ქართველია, რომელმაც გრანპრი მოიგო.

ბაზაძე განთესილი იყო, ამიტომ საქმეში ფლეი ოფიდან ჩაერთო. რუმინელი მატეი სიდუ (15:4), იაპონელ კენტო იოშიდა (15:14), გერმანელი რაულ ბონაჰი (15:13), კიდევ ერთი გერმანელი მატიას შაბო (15:8), უნგრელი ანდრას სატმარი (15:12) მიყოლებით დაამარცხა და ფინალში გავიდა.

ოქროსთვის ბრძოლაში ბაზაძის მეტოქე ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი, იტალიელი ლუიჯი სამელე იყო, რომელიც 15:8 დაამარცხა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე შედგა.

ბაზაძე, გასული ზაფხულიდან მოყოლებული, მეხუთე ტურნირზე გამოვიდა და კვარცხლბეკზე მეხუთედ ავიდა. სამი ოქრო, ერთი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო – ასეთია სანდროს მონაგარი.

ტუნისის გრანპრის მოგების შემდეგ ბაზაძემ ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის რეიტინგში პირველ ადგილზე გადაინაცვლა. ეს პირველი შემთხვევაა ქართული ფარიკაობის ისტორიაში.

ბაზაძეს 233 ქულა მოუგროვდა და სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, უნგრელ არონ სილაგის 7 ქულით გაუსწრო. მე-3 ადგილზეა იტალიელი ლუკა კურატოლი – 148.

# კვარამ იუვენტუსის ბაზა მოინახულა



ტურინის იუვენტუსთან ხვიჩა კვარაცხელიას მშვენიერი პერფორმანსის შემდეგ ქართველი ფეხბურთელის ყოფილმა კლუბმა, ყაზანის რუბინმა, ტურინულ კლუბს დასცინა, რადგან კვარას შესაძენად 20 მილიონი ევროს გადახდაზე უარი თქვა.

ამ ფაქტს ცნობილი გამოცემა გაძეტა დელო სპორტი გამოეხმაურა და კვარაცხელიას იუვენტუსში ჩაშლილ ტრანსფერზე წერს:

– კვარაცხელია ნამდვილად ძალიან ახლოს იყო იუვენტუსთან. ტრანსფერის პირველი ნიშნები მაურიციო სარის მუშაობის დროს გაჩნდა, როდესაც მაშინდელმა სპორტულმა დირექტორმა, ფაბიო პარატიჩიმ, რომელიც ამჟამად ტოტენჰემში მუშაობს, კვარას ნიჭი შეამჩნია და მოლაპარაკებებიც დაიწყო. პირველი მცდელობა იყო ფედერიკო კიეზასთან ერთად შეეძინა, მეორედ კი, 2021 წლის გაზაფხულზე, როდესაც კვარაცხელიას მიმართ ინტერესი მიუნხენის ბაიერნსა და ინგლისურ კლუბებს გაუჩნდათ. კვარაცხელია ტურინშიც კი იყო ჩასული და კლუბის სპორტული ინფრასტრუქტურაც მოინახულა, როგორც ეს 2018 წელს ერლინგ ჰოლანდმა გააკეთა.

რატომ არ მოაწერა კონტრაქტს ხელი? საქმე მარტო სატრანსფერო ფასში არ არის. 2021 წლის გაზაფხულზე იუვენტუსის მენეჯმენტში რევოლუცია მოხდა, პარატიჩიმ გუნდი დატოვა და ტოტენჰემში გადავიდა, რის შედეგად პრიორიტეტები და სტრატეგიები შეიცვალა, მათ შორის, კვარაცხელიას გეგმაც. ქართველი ყაზანის რუბინში დარჩა, შემდეგ უკრაინაში დაწყებული ომით მისი ფასი დაეცა, რითაც კრისტიანო ჯუნტოლიმ ისარგებლა და აღმოსავლეთიდან ნამდვილი ტალანტის ნეაპოლში 10 მილიონ ევროდ გადაბირება უზრუნველყო.

შეგახსენებთ, ხვიჩა კვარაცხელიამ მიმდინარე სერია ა-ში 7 ბურთი გაიტანა და ამდენივე საგოლე პასი გააკეთა.

ამასობაში კვარაცხელიამ იტალიის თასის მერვედფინალური მატჩი გამოტოვა. გუშინ გვიან ღამით დასრულდა კვარაცხელიას ნაპოლისა და ლუკა ლოჩოშვილის კრემონეზეს შეხვედრა, მაგრამ მოედანზე ქართველი ფეხბურთელები არ იქნებოდნენ.

ლოჩოშვილს მცირე ტრავმა აქვს, ხოლო ნეაპოლელთა ვებგვერდი წერს, რომ კვარაცხელიას გრიპის გამო ბოლო ვარჯიშში მონაწილეობა არ მიუღია და ვერც კრემონეზესთან ითამაშებდა. სადღეისოდ უცნობია, მზად იქნება თუ არა სალერნიტანასთან სათამაშოდ.

# ოთხმეზურის საუკეთესო მატჩი. ბურჯანაძეს კონტრაქტი გაუგრძელეს

დასაწყისი მე-6 გვერდზე

მარჯვებული გუნდის ლიდერი, ოფიციალური ტიტულიც მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ეს ტენერიფეს მე-300 გამარჯვებაა ესპანეთის ჩემპიონატში მთლიანობაში ჩატარებულ 637 მატჩს შორის.

შერმადინი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 28 წუთი გაატარა, რა დროშიც 8-დან 5 ორქულიანი და 12-დან 11 საჯარიმო ჩააგდო. გიორგიმ 21 ქულა, 4 მოხსნა და 4 პასი დააგროვა, რაც მვპ-ის ტიტულის მოსაგებად საკმარისი აღმოჩნდა.

33 წლის ქართველი ცენტრის სარგებლიანობის კოეფიციენტი 31-ს გაუტოლდა და იყო შანსი, ის ტურის მვპ-ის ტიტულსაც დაუფლებოდა (ზედიზედ მეორედ), მაგრამ უკრაინელმა ვოლოდიმირ გერუნმა აჯობა. ბეტისის ლეგიონერმა ობრადოიროსთან 20 ქულას 18 მოხსნა წაამატა და მისი სარგებლიანობის კოეფიციენტმა 39-ს უწია.

სამაგიეროდ, ლიგა ენდესას ვებგვერდმა ესპანეთის ჩემპიონატის მე-16 ტურის 3 გამორჩეული კალათბურთელი დაასახელა, რომელთა შორის შერმადინიც მოხვდა.

აი, რა წერია ლიგა ენდესას ვებგვერდზე:

– უკვე ველარ წარმოგვიდგენია, რომ ამ რუბრიკაში გიორგი შერმადინი არ ფიგურირებდეს. მან იმედები არც ამჯერად გაგვიცრუა. სარაგოსასთან მატჩში ტენერიფეს ლიდერად მოგვევლინა და სეზონში მე-12 მატჩის მოგებაში დიდი წვლილი შეიტანა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი ფაქტი. სტუმრებმა თამაში ოვერტაიმში მოიგეს, სადაც 14-დან 11 ქულა შერმადინმა ჩააგდო.

ტენერიფემ სეზონში მე-12 მატჩი მოიგო და მე-4 ადგილზეა, მომდევნო ტურში კი აუტსაიდერთა ზონაში მყოფ ბეტისს უმასპინძლებს.

ამერიკის ქალთა უმაღლეს სტუდენტურ ლიგაში მოთამაშე ნატალია ოთხმეზურმა სეზონის საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა. შეგახსენებთ, რომ ოთხმეზური აიონა გაელსის ღირსებას იცავს.

აიონამ გასულ უქმეებზე 2 მატჩი ჩაატარა და ერთ-ერთში საუკეთესო სწორედ ქართველი უკანახაზელი გახლდათ.

22 წლის ოთხმეზურმა თავი მაუნტ სენტ მერის მაუნთაინერსთან გამოიჩინა, რომელიც მისმა გუნდმა 63:44 მოიგო. ნატალია თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 24 წუთში სეზონში უმეტესი 18 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა.

ქართველმა მცველმა 4-დან 3 ორქულიანი და ოთხივე სამქულიანი ჩააგდო, ერთი საჯარიმო ააცილა, ბურთი არ დაუკარგავს და 1 პერსონალური ფოლი მიიღო.

მომდევნო შეხვედრაში აიონელებმა ქუინიოიაკ ბობქეთსს 47:42 სძლიეს, ოთხმეზურმა 15 წუთში 4 ქულა და 3 მოხსნა მოაგროვა. ქართველმა კალათბურთელმა 2 ორქულიანი ჩააგდო, 2 სამქულიანი კი ააცილა.

აიონა გაელსს მეტრო ატლანტიქ ატლეტიც კონფერენციაში 6 მოგება და 1 მარცხი აქვს. აღსანიშნავია, რომ გუნდმა კონფერენციის ჩემპიონატი წაგებით გახსნა, რის შემდეგაც ზედიზედ 5 შეხვედრა მოიგო. მომდევნო მატჩი აიონელებს რაიდერ ბრონკსთან ელით.

# კახა ჩხეტიანი: „ყველა ქართულ კლუბს ევროტურნირების ჯგუფში მოხვედრას ვუსურვებთ“



საქართველოს სუპერთასი ახალი ფორმატით გაიმართება. თუ აქამდე ერთმანეთს მხოლოდ ჩემპიონი და თასის მფლობელი ხვდებოდნენ, ახლა საქმეში მეორე და მესამეადგილოსნებიც ჩაერთვებიან.

ფორმატის ცვლილებასთან დაკავშირებით კომენტარი თასის მფლობელის, ქუთაისის ტორპედოს მთავარმა მწვრთნელმა კახა ჩხეტიანმა და მეკარე რონინ კვასხვაძემ გააკეთეს.

**კახა ჩხეტიანი:**

– ფორმატი უკვე დამტკიცებულია. ჩვენი ვალდებულებაა, ამაზე მოვახდინოთ კონცენტრაცია. ეს მოდელი ესპანეთში ვნახეთ და საინტერესო გამოვიდა. ფედერაციაშიც ნაფიქრი აქვთ, რადგან თამაშები ისეთ დროს მოგვიწევს, როცა ჩემპიონატში პაუზა დადგება და შემდეგ ევროტურნირი დაიწყება.

თბილისის დინამო, გორის დილა და ბათუმის დინამო ძალიან ძლიერი გუნდები არიან და მათთან სპარინგი ევროტურნირების წინ ძალიან კარგი იქნება, პლუს, კონცენტრირებული კიდევ ერთი ტიტულის შემატებაზე ვიქნებით.

ეს ის დრო იქნება, როცა ევროტურნირებისთვის მზად უნდა ვიყოთ. ამ პერიოდში უცხოურ სპარინგებს ვგეგმავდით, მაგრამ, ვფიქრობ, სუპერთასზე ძალიან კარგი თამაშები გვექნება. ყველა მათგანს ევროტურნირების ჯგუფში მოხვედრას ვუსურვებთ.

**რონინ კვასხვაძე:**

– ველოდებით ერთ გადამწყვეტ შეხვედრას და სიახლეა, რომ სუპერთასის ფორმატი შეიცვალა. რადგან ასეა, მოვემზადებით ამ ტურნირისთვის. კარგი იქნება იმ კუთხით, რომ ევროთასებამდე რამდენიმე პრინციპულ მატჩს ვითამაშებთ.

იმედია, სუპერთასი ჩვენ დაგვრჩება და ეს შეხვედრები ევროთასებზე წაგვადგება. ყველა მონაწილე კარგი გუნდია და კარგი სპარინგებიც იქნება. ნახევარფინალში ბათუმის დინამოს შევხვდებით, რომელთანაც სულ დაძაბული და პრინციპული თამაშები გვაქვს. ვფიქრობ, ფინალში გასვლა და მოგება შეგვიძლია.

შეგახსენებთ, რომ ახალი ფორმატის თანახმად, ნახევარფინალში თბილისის დინამო გორის დილას დაუპირისპირდება, ხოლო ქუთაისის ტორპედო – ბათუმის დინამოს.

ნახევარფინალში გამარჯვებულები ერთმანეთს ფინალში დაეჯახებიან, ხოლო დამარცხებულები მესამე ადგილისთვის ითამაშებენ.

2023 წლის სუპერთასი ზაფხულში, ევროტურნირების მზადების ფარგლებში საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩების დაწყებამდე გაიმართება.

# ბასილაშვილმა ისევ წააგო



ნიკოლოზ ბასილაშვილი ავსტრალიის ღია პირველობას პირველივე წრეში გამოეთიშა. ჩვენებური ამერიკელ ტეილორ ფრიტცთან 4 სეტში, 4:6; 2:6; 6:4; 5:7 დამარცხდა.

არადა, ბასილაშვილმა კარგად დაიწყო – მესამე გეიმშივე ბრეიკი გაახერხა, შემდეგ 4:2 დაწინაურდა, მაგრამ ზედიზედ დათმო გეიმები და სეტიც ზედ მიაყოლა – 4:6.

მეორე სეტში 4:2 უკვე ფრიცმა საქმე მშვიდად მიიყვანა და სოლიდურად დაწინაურდა.

მესამე სეტი ბასილაშვილმა ისევ ბრეიკით დაიწყო. ნიკამ ამჯერად შეცდომა აღარ დაუშვა, სეტი 6:4 მოიგო და თამაშში დაბრუნდა.

მეოთხე სეტში თანაბარი თამაში 10 გეიმი გაგრძელდა. დასკვნითი ნაწილი ფრიტცმა უკეთ ჩაატარა და სეტთან ერთად მატჩიც მოიგო.

სტატისტიკა ფრიტცის დიდ უპირატესობაზე მეტყველებს: 32 ეისი 9-ის წინააღმდეგ; ბასილაშვილმა 11 ორმაგი შეცდომა დაუშვა, ხოლო ფრიტცმა – 2. ქართველს 55 უნებლიე შეცდომა ჰქონდა, ამერიკელს – 27.

# შედეგები

16 იანვარი

ფეხბურთი

## აფრიკის ერთა თასი

მალი-ანგოლა ........................ 3:3

კამერუნი-კონგო ........................ 1:0

## ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

კადისი-ელჩე ........................ 1:1

## სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 16 | 13 | 2 | 1 | 35-6 | 41 |
| 2.რეალი | 16 | 12 | 2 | 2 | 36-16 | 38 |
| 3.სოსიედადი | 17 | 11 | 2 | 4 | 26-18 | 35 |
| 4.ბეტისი | 16 | 8 | 4 | 4 | 19-13 | 28 |
| 5.ვილიარეალი | 17 | 8 | 4 | 5 | 20-13 | 28 |
| 6.ატლეტიკო | 17 | 8 | 4 | 5 | 24-16 | 28 |
| 7.ოსასუნა | 17 | 8 | 3 | 6 | 17-16 | 27 |
| 8.ბილბაო | 17 | 7 | 5 | 5 | 25-17 | 26 |
| 9.რაიო | 17 | 7 | 5 | 5 | 24-20 | 26 |
| 10.მალიორკა | 17 | 6 | 4 | 7 | 14-16 | 22 |
| 11.ხირონა | 17 | 5 | 6 | 6 | 26-27 | 21 |
| 12.ვალენსია | 16 | 5 | 4 | 7 | 23-18 | 19 |
| 13.ალმერია | 17 | 5 | 3 | 9 | 18-26 | 18 |
| 14.ესპანიოლი | 17 | 3 | 8 | 6 | 21-26 | 17 |
| 15.ხეტაფე | 17 | 4 | 5 | 8 | 16-24 | 17 |
| 16.სელტა | 17 | 4 | 5 | 8 | 17-28 | 17 |
| 17.ვალიადოლიდი | 17 | 5 | 2 | 10 | 13-25 | 17 |
| 18.კადისი | 17 | 3 | 7 | 7 | 12-28 | 16 |
| 19.სევილია | 17 | 3 | 6 | 8 | 17-26 | 15 |
| 20.ელჩე | 17 | 0 | 5 | 12 | 11-35 | 5 |

## ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ალბასეტე-ლეგანესი ........................ 1:0

## იტალია. სერია ა

ემპოლი-სამპდორია ........................ 1:0

## სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 18 | 15 | 2 | 1 | 44-14 | 47 |
| 2.მილანი | 18 | 11 | 5 | 2 | 35-20 | 38 |
| 3.იუვენტუსი | 18 | 11 | 4 | 3 | 27-12 | 37 |
| 4.ინტერი | 18 | 12 | 1 | 5 | 38-24 | 37 |
| 5.ლაციო | 18 | 10 | 4 | 4 | 31-15 | 34 |
| 6.ატალანტა | 18 | 10 | 4 | 4 | 34-20 | 34 |
| 7.რომა | 18 | 10 | 4 | 4 | 23-16 | 34 |
| 8.უდინეზე | 18 | 6 | 7 | 5 | 26-21 | 25 |
| 9.ფიორენტინა | 18 | 6 | 5 | 7 | 21-24 | 23 |
| 10.ტორინო | 18 | 6 | 5 | 7 | 18-20 | 23 |
| 11.ემპოლი | 18 | 5 | 7 | 6 | 16-22 | 22 |
| 12.მონცა | 18 | 6 | 3 | 9 | 22-27 | 21 |
| 13.ლეჩე | 18 | 4 | 8 | 6 | 18-20 | 20 |
| 14.ბოლონია | 18 | 6 | 4 | 8 | 23-29 | 20 |
| 15.სპეცია | 18 | 4 | 6 | 8 | 17-28 | 18 |
| 16.სალერნიტანა | 18 | 4 | 6 | 8 | 23-35 | 18 |
| 17.სასუოლო | 18 | 4 | 4 | 10 | 17-28 | 16 |
| 18.ვერონა | 18 | 2 | 3 | 13 | 15-31 | 9 |
| 19.სამპდორია | 18 | 2 | 3 | 13 | 8-31 | 9 |
| 20.კრემონეზე | 18 | 0 | 7 | 11 | 13-32 | 7 |

## იტალია. სერია ბ

ჯენოა-ვენეცია ........................ 1:0

## საფრანგეთი. ლიგა 2

ნიორი-სტ.ეტიენი ........................ 0:1

## პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ეშტორილი-კასა პია ........................ 2:0

ჟილ ვისენტე-გიმარაეში ........................ 2:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული; 2. მონასტერი ხარაგაულის რაიონში; 3. ვენესუელის დედაქალაქი; 4. ქულა ძიუდოში; 5. თანამედროვე ქართველი პოეტი მამაკაცი; 6. ოლქი ბელგიაში; 11. დადებითად დამუხტული ელექტროდი; 13. ძალიან ლამაზი ბალი; 14. მარადმწვანე ხე, ისხამს ზეთით მდიდარ კურკოვან ნაყოფს; 15. უნგრეთის დედაქალაქი; 17. ღვინის, ზეთის, სითხის შესანახი თიხის ვიწროყელიანი ჭურჭელი ძველად საბერძნეთში; 18. სიბრტყეზე ჰორიზონტალური მდგომარეობის დასადგენი სადურგლო ხელსაწყო; 19. აზიაში გავრცელებული შინაური კუზიანი ხარი.

**თარაზულად:** 7. დაბადების დღის აღნიშვნა; 8. კუბელი დიპლომატი, ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში; 9. ისტორიული სამეფო დასავლეთ საქართველოში; 10. ქართული ყველისგულიანი ორცხობილა; 12. თებერვლის თვის ქართული სახელწოდება; 14. მორალი ანუ...; 16. სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; 18. მწვერვალი კავკასიონზე; 20. თვალის ფერადი გარსი; 21. ჯარის ძველებური სახელწოდება; 22. ლიტერატურული პერსონაჟის დახასიათება, აღწერა; 23. პოპულარული ბალნეოლოგიური კურორტი საფრანგეთში; 24. მდინარე გურიაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. იორდანე; 2. სადაფი; 3. ჭორიკანა; 4. ჯავახეთი; 7. ტაქსაფონი; 8. პავაროტი; 12. ჰონორარი; 14. დანსინგი; 16. ბოჰემია; 17. არჩვაძე; 19. კუბა; 20. ჯანი.

**თარაზულად:** 5. პოტენცია; 6. აპოსტასია; 9. მადონა; 10. ფრანკი; 11. ზვარე; 13. ვოლგა; 15. საღამო; 18. ჯოისი; 21. ინანთეული; 22. მუშამბა; 23. იავნანა.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. სადროშო; 2. დრონი; 3. ინტერესი; 4. მეტეხი; 5. შაჰნამე; 6. ფიპრესი; 11. კბოდე; 13. ტრამვაი; 14. დრაგომანი; 15. კვირინალე; 17. სკვერი; 18. არაგვი; 19. სოკო.

**თარაზულად:** 4. ბაიერი; 8. ინტენდანტი; 9. ორბანი; 10. ფელეტონი; 12. კონტრაბასი; 14. დრეიკი; 16. ასკარიდა; 18. ანაკოფია; 20. კანოე; 21. ლია; 22. ტერაკოტა; 23. ირაო; 24. მოდილიანი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

18 იანვარი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6726

ევრო — 2.8904

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2614

100 რუსული რუბლი — 3.8847

## ამინდის პროგნოზი 18 იანვრისათვის




## პედრი: „პირველი ტიტულით ბედნიერი ვარ“



ბარსელონის ახალგაზრდა ნახევარმცველმა პედრიმ რეალთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ ის ბედნიერია იმით, რომ რეალი დაამარცხა და ბარსელონასთან ერთად პირველი ტიტული მოიგო: „ძალიან მიხარია, რომ ბარსელონასთან ერთად წარმატებას მივაღწიე, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია და ყველაფერი წინ არის. ბარსელონას დიდი პოტენციალი აქვს და ჩვენ ეს დავამტკიცეთ“.

## ერიკ ტენ ჰაგი: „მანჩესტერს კიდევ უფრო მეტი შეუძლია“



მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ერიკ ტენ ჰაგმა განაცხადა, რომ მის გუნდს კიდევ უფრო მეტი შეუძლია და მომავალ შეხვედრებში ეს კიდევ უფრო მეტად გამოჩნდება. მანჩესტერ იუნაიტედი ამჟამად სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზეა: „მინდა, რომ ტიტულები მოვიგოთ, მაგრამ მესმის, რომ წელს ამის გაკეთება იოლი არ იქნება. მანჩესტერს აქვს პროგრესი, მაგრამ ჩვენ არ უნდა მოვეშვათ“.

## ტონი კროოსი, სავარაუდოდ, სეზონის ბოლოს კარიერას დაასრულებს

მადრიდის რეალის გერმანელმა ნახევარმცველმა ტონი კროოსმა შესაძლოა სეზონის ბოლოს კარიერა დაასრულოს, რადგან, მისი აზრით, ის უკვე აღარ არის ჩვეულ ფორმაში და ახალგაზრდა ფეხბურთელები მას სისწრაფეში ჯაბნიან. კროოსმა ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა, რომ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია და ამას რამდენიმე თვეში გააკეთებს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## იუმორი

დედა შვილს ეჩხუბება:
– მამაშენივით უტვინო და სულელი ხარ!
ამ დროს ქმარი ოთახში შემოდის და ცოლს ეკითხება:
– ეს მე ვარ უტვინო და სულელი?!
– შენ გაჩუმდი, შენზე არ ვლაპარაკობ...

●●●

თანაკლასელმა გოგონებმა გიგი გააფრთხილეს, რომ თუ გაკვეთილზე კიდევ რაიმე ცუდს იტყოდა, ყველანი ადგებოდნენ და კლასს დატოვებდნენ.
მასწავლებელი კითხულობს:
– აბა ბავშვებო, რა ახალი შენობა შენდება ჩვენ რაიონში?
– სკოლა.
– ბიბლიოთეკა.
– მუზეუმი.
– ბორდელი, – დაიძახა გიგიმ.
გოგონები ადგნენ და გადიან. ამ დროს გიგიმ მიაძახათ:
– გოგოებო, სად მიდიხართ, ჯერ ბეტონის ჩასხმაც კი არ დაუმთავრებიათ!

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:
– თუ შენ ქმარს ვაცდუნებ და მასთან ღამეს გავატარებ, დაქალებად დავრჩებით?
– არა.
– ე.ი. მტრები ვიქნებით?
– არა.
– აბა რა?
– ბარი-ბარში ვიქნებით.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ბუბა კიკაბიძეს ფილარმონიის დიდი დარბაზიდან გამოასვენებენ



მომღერალსა და მსახიობს ბუბა კიკაბიძეს უკანასკნელ გზაზე ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზიდან გააცილებენ, პანაშვიდები კი ქაშვეთის ეკლესიაში გაიმართება. ხელოვანის სურვილის გათვალისწინებით, მას ვერის სასაფლაოზე დედისა და მეუღლის გვერდით 19 იანვარს დაკრძალავენ.

ბუბა კიკაბიძის გარდაცვალებას არაერთი უცხოელი გამოეხმაურა, მათ შორის **უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი:**

– ვახტანგ კიკაბიძე – მეგობარი, რომელიც ყოველთვის ჩვენ გვერდით იდგა. დიდებული ერის დიდებული ადამიანი, ლეგენდა, რომლისგანაც ყოველთვის მაგალითს ვიღებდით. ნათელი ხსოვნა მას და თანადგომა ახლობლებს.

**ანდრეი კასიანოვი, საქართველოში უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი:**

– უკრაინისა და საქართველოსთვის უდიდესი დანაკარგია ბატონი ვახტანგ კიკაბიძის გარდაცვალება. ის უკრაინის დიდი მხარდამჭერი იყო, პრინციპული ადამიანი, იბრძოდა რუსული აგრესიის წინააღმდეგ, ადამიანი, რომელიც უკრაინას ეხმარებოდა, როგორც შეეძლო და მისი მეგობარი იყო. დეკემბრის ბოლოს შევხვდით ერთმანეთს, ვისაუბრეთ ომთან დაკავშირებით. ბატონ ვახტანგთან ერთად გამარჯვების კონცერტი უნდა დაგვეგეგმა მარიუპოლში... ჩვენ ის მუდამ გვემახსოვრება.

**ელენა პროკლოვა, მსახიობი, ლარისა ივანოვნას როლის შემსრულებელი:**

– ჩემთვის არა მხოლოდ მშვენიერი მსახიობი, მომღერალი, არამედ, პირველ რიგში, ჩემი მშვენიერი პარტნიორი წავიდა, მსახიობი, რომელთანაც ასე ადვილი იყო მუშაობა. ვგლოვობ მის ოჯახთან და ახლობლებთან ერთად. ვფიქრობ, ის ადამიანების გულებში დიდი ხნის განმავლობაში დარჩება, როგორც მომღერალი, მსახიობი და შესანიშნავი ადამიანი.

**მაქსიმ გალკინი, მომღერალი:**

– კიდევ ერთი აუნაზღაურებელი დანაკარგი. ეს როგორი დღეებია... ჩვენი ძვირფასი ვახტანგ კიკაბიძე უკეთეს სამყაროში წავიდა. დიდი ნიჭისა და ღირსების კაცი. ახლა საქართველოში უნდა შევხვედროდით ერთმანეთს. ვუსამძიმრებთ მე და ალა მის ოჯახსა და ახლობლებს.

## მანანა დოიჯაშვილი გარდაიცვალა



75 წლის ასაკში პიანისტი მანანა დოიჯაშვილი გარდაიცვალა. მისი საიუბილეო თარიღი გასულ წელს „საახალწლო მუსიკალური შეხვედრების“ ფარგლებში აღინიშნა.

საქართველოს სახალხო არტისტმა, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის მოადგილემ და პროფესორმა მთელი ცხოვრება საყვარელ საქმიანობას მიუძღვნა. თენგიზ ამირეჯიბის უნიჭიერესმა მოსწავლემ არაერთ საერთაშორისო კონკურსში გაიმარჯვა. მანანა დოიჯაშვილის უმაღლესი პროფესიონალიზმით აღსავსე საშემსრულებლო ხელოვნებას კარგად იცნობენ რუსეთის, ბულგარეთის, ფინეთის, ამერიკის, ესპანეთის, ავსტრიის, გერმანიის, არგენტინის, კორეის, ავსტრალიისა და სხვა ქვეყნების მუსიკოსები და კლასიკური მუსიკის მოყვარულები.

მანანა დოიჯაშვილის სახელთან არის დაკავშირებული კონსერვატორიის დიდი დარბაზის აღდგენა და თბილისის მუსიკალურ ცხოვრებაში დაბრუნება. მან საფუძველი ჩაუყარა საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა და პიანისტთა თბილისის საერთაშორისო კონკურსებს, დააარსა ყოველწლიური ფესტივალი „საახალწლო მუსიკალური შეხვედრები“, ჩამოაყალიბა ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმი.

პიანისტს მიენიჭა საფრანგეთის „ლიტერატურისა და ხელოვნების ორდენის რაინდისა“ და „მშვიდობის ელჩის“ საპატიო წოდებები, საშემსრულებლო ხელოვნებაში შეტანილი წვლილისათვის დაჯილდოვდა რუსეთის საშემსრულებლო ხელოვნების ფონდის პრემიით, მიიღო ქართველი მუსიკოსებისათვის უმაღლესი ჯილდო – ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემია, ღირსების ორდენი...

მანანა დოიჯაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებული სამწუხარო ინფორმაცია მუსიკოსმა **რეზო კიკნაძემ** გაავრცელა:

– ღრმა მწუხარებით ვუსამძიმრებ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას, ქართულ კულტურასა და განათლებას ქალბატონი მანანა დოიჯაშვილის გარდაცვალებას. მისი ღვაწლი – მუსიკალურიც, პედაგოგიურიც და საზოგადოებრივიც – უდიდესია. მისი თავდაუზოგავი ბრძოლა სწორედ ხელოვნებისა და, კერძოდ, მუსიკის საგანმანათლებლო სპეციფიკის აღიარებისა და ჯეროვანი საკანონმდებლო პოზიციონირების საქმეში გადამწყვეტი იყო მაშინ და დღესაც მთავარი დასაყრდენია კონსერვატორიის წინსვლისა და განვითარების როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო კულტურულ და აკადემიურ კონტექსტში. დიდი მადლობა მას ამისთვის.

## ლაშა თაბუკაშვილი დააჯილდოვეს



მწერალი და დრამატურგი ლაშა თაბუკაშვილი დააჯილდოვეს. ქართული თეატრის დღესთან დაკავშირებით მას პოლიკარპე კაკაბაძის სახელობის ჯილდო გადაეცა.

ლაშა თაბუკაშვილთან ერთად ეს ჯილდო კიდევ ერთმა დრამატურგმა – რეზო კლდიაშვილმაც მიიღო.

## გიორგი სუხიტაშვილს ოპერაცია ჩაუტარდა



მომღერალ გიორგი სუხიტაშვილს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა და ექიმების დახმარება დასჭირდა. მას ოპერაცია ჩაუტარდა, რომელიც წარმატებით დასრულდა:

– ყველაფერმა კარგად ჩაიარაო. უდიდესი მადლობა ასეთი ყურადღებისთვის, რომელსაც თქვენ იჩენთ ჩემ მიმართ. უამრავი შეტყობინება დამხვდა. ჯერ დეტალურად ვერ ვისაუბრებ, რა გაკეთდა, სად გაკეთდა და ვინ გააკეთა, თუმცა, გპირდებით, ყველა დეტალს გაგაცნობთ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## მომღერალი ანი ნოზაძე იშემიური ინსულტით საავადმყოფოში მოხვდა



„ვოისის“ ერთ-ერთი კონკურსანტი, მომღერალი ანი ნოზაძე იშემიური ინსულტის დიაგნოზით საავადმყოფოში მოხვდა.

ანი დათო ფორჩხიძის გუნდის წევრი იყო და კონკურსში აქტიურად მონაწილეობდა, თუმცა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო შოუს გამოეთიშა.

პროექტის პირდაპირი ეთერის დაწყებამდე ანის „ვოისის“ მონაწილეებმა სიმღერა მიუძღვნეს და გამოჯანმრთელება უსურვეს.

## ასტროპროგნოზი

### 18 იანვრისათვის



**ვერძი** – პასიური დღეა. თუ სისუსტეს გამოიჩენთ, ეს თქვენს წარმატებაზე უთუოდ აისახება. ზედმეტი მზრუნველობა ახლობლებისადმი საჭირო არ არის. **კურო** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. ეს დღე თქვენი შემოქმედებითი აღმავლობის დასაწყისია. სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. **ტყუპები** – აგრესიულობა და ლიდერობისკენ სწრაფვა კოლეგებთან და ახლობლებთან ურთიერთობას გაგიფუჭებთ. ამას შესაძლოა ფინანსური დანაკარგებიც მოჰყვეს. **კირჩხიბი** – ძალზე იღბლიანი დღეა, განსაკუთრებით – საჯარო მოხელეთათვის. ექსპერიმენტებისგან თავი შეიკავეთ. **ლომი** – კომერციული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. გარისკეთ. არ ინანებთ. ეს ყველაფერი თქვენს შემოქმედებით ზრდასა და ავტორიტეტზე დადებით გავლენას მოახდენს. **ქალწული** – მშობლებისა და ბავშვების მიმართ მეტი ლოიალობა გამოიჩინეთ. ეს დღე ერთგვარი გამოცდა იქნება. **სასწორი** – მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **ღრიანკალი** – დაისვენეთ და გაერთეთ მშვიდ გარემოში. საღამოს საინტერესო ახალ ამბავს გაიგებთ. **მშვილდოსანი** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **თხის რქა** – ჯანმრთელობის მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ნერვებს გაუფრთხილდით და ნუ გადაიღლებით. ეცადეთ, იყოთ დამოუკიდებელი და სიტუაცია თქვენ სასარგებლოდ მართოთ. **მერწყული** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **თევზები** – თუ საჭიროდ მიიჩნევთ, ბოდიშიც მოიხადეთ. დათმობა, მიმტევებლობა, ლოიალობა დღის დევიზია.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. აშშ-ის პრეზიდენტი; 2. რეგიონი კახეთში; 3. სწორი ნაწლავის ლორწოვანი გარსის ანთება; 4. უკიდურესი, გადამწყვეტი მოქმედების მომხრე ადამიანი; 7. ხვლიკის მსგავსი ცხოველი, რომელიც კანის ფერს იცვლის გარემო პირობების შესაბამისად; 8. კოსმოდრომი რუსეთში; 12. სახელმწიფო ევროპაში; 14. ნათურების წარმოებაში გამოყენებული ძნელად დნობადი ქიმიური ელემენტი, ლითონი; 16. ვეტერინარის ძველი სახელწოდება; 17. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 19. ერთ-ერთი კონტინენტი; 20. ბებერი თხა.

**თარაზულად:** 5. ვენესუელის დედაქალაქი; 6. საეკლესიო წესით ქორწინება; 9. შაქრის წარმოების ნარჩენი სქელი შავი სითხე; 10. მცენარის ნორჩი ტოტი; 11. პლასტიკურ და რიტმულ მოძრაობათა ხელოვნება; 13. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 15. პოპულარული სამაგიდო თამაში; 18. მამაკაცის ტანსაცმლის მკერავი ძველად საქართველოში; 21. უკიდურესი გატაცება რაიმე საქმით, იდეით; 22. ნელი, ზომიერი მუსიკალური ტემპი; 23. ევროპის ჩემპიონი, ქართველი მოფარიკავე ქალი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

